პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 იანვარი **ორშაბათი** 2014
№005 (14 226) ფასი 80 თეთრი





## ციურიხი, 21:30

# დღეს მსოფლიო შეიტყობს...

## ...ვინ მოიგებს ოქროს ბურთს?

A: ფრანკ რიბერი

B: ლიონელ მესი

1

C: კრიშტიანო რონალდო

D:

მას მერე უკვე თვეები გავიდა, რაც ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებმა და კაპიტნებმა, აგრეთვე ჟურნალისტებმა, ხმა მისცეს თავიანთ რჩეულებს 2013 წლის ოქროს ბურთის გამოკითხვაში. რჩება მხოლოდ ერთი - დღეს გალა-ცერემონიალზე გამარჯვებულმა ფეხბურთელმა, რომლის სახელიც ფართო საზოგადოებისთვის ჯერ უცნობია, პრიზი ოფიციალურად უნდა ჩაიბაროს.

სამი კანდიდატიდან ერთ-ერთი დღეს უზომოდ ბედნიერი იქნება, დანარჩენ ორს კი აუცილებლად დაწყდება გული, რადგან თითოეული მათგანი მიიჩნევს, რომ ოქროს ბურთი მას ეკუთვნის.

მაშ ასე, დღეს შევიტყობთ, ვინ გაიმარჯვა, ვინ იყო პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი 2013 წელს - ისევ **ლიონელ მესი, კრიშტიანო რონალდო ფრანკ რიბერი.** მანამდე კი მოვუსმინოთ, რას ფიქრობენ თავად კანდიდატები:

კრიშტიანო რონალდო: *"ვიმსახურებ თუ არა ოქროს ბურთს? ალბათ... ისევე როგორც შარშან ან ორი წლის წინ. ვფიქრობ, რომ ოქროს ბურთს ყოველ წელს ვიმსახურებ".*

ლეო მესი: *"ჩემთვის პატივია, სამ ფინალისტს შორის მოხვედრა. ვფიქრობ, რომ მთავარი კარიერაში გუნდური ტიტულია, თუმცა ინდივიდუალურადაც რომ გამოგარჩევენ, სასიამოვნოა. თუ ვერ მოვიგებ ოქროს ბურთს, ეს არ იქნება ჩემთვის ქვეყნის დასასრული".*

ფრანკ რიბერი: *"ბედნიერი ვარ იმის მიუხედავად გავიმარჯვებ თუ არა, რადგან კრიშტიანოსთან და ლეოსთან ერთად ოქროს ბურთის მოგების კანდიდატი ვარ. ისე კი მიმაჩნია, რომ 2013-ში ოქროს ბურთი დავიმსახურე".*

ნიკოლოზ ნეფარიძე



# შერმადინის მადრიდული ორმაგი დუბლი

კალათბურთი. ლეგიონერები

12



11

# ანა ტატიშვილი ძირითად ბადეშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორპედო

# ახალი ეტაპის დასაწყისი

## გულშემატკივრები ჟორდანიაზე ალაპარაკდნენ



ტორპედოს ვარჯიში — ავტორის ფოტოები

ქუთაისის "ტორპედოდან" კომპანია "ვისოლის" წასვლის შემდეგ ძველი მეპატრონის მიერ დაანონსებული რამდენიმეწლიანი გეგმა, რომლის განმავლობაშიც "ტორპედო" საშუალო ევროპული დონის გუნდად უნდა ქცეულიყო, საპნის ბუშტივით გასკდა. შედეგად, უკვე მერამდენედ, ქუთაისურ გუნდში "ახალი ეტაპი" იწყება, ოღონდ, ძველი სახეებით...

გადაწყვეტილია, რომ "ტორპედოს" გამოცდილი სპეციალისტი **რევაზ ძოძუაშვილი** დამოძღვრავს, რომელიც ქუთაისური გუნდის დამრიგებელი 1978, 1988-89, 2001-02 და 2006 წლებში იყო. "ტორპედომ" საქართველოს ჩემპიონობა ბოლოს (2002 წელს) სწორედ მისი თავკაცობით მოიპოვა.

კლუბში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ბრუნდება კლუბის ყოფილი პრეზიდენტი **გიორგი ხურციძე**, რომელიც პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ წინა ხელისუფლებამ კლუბი იძულებით დაათმობინა და გისოსებს მიღმაც უსამართლოდ ამყოფა. ასევე გადაწყვეტილია, რომ "ტორპედოს" ახალი პრეზიდენტი იქნება ცნობილი ფეხბურთელი **გიორგი დემეტრაძე**, რომელიც უკვე ქუთაისში იმყოფება.

ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით "ტორპედომ" პირველად 10 იანვარს, სალორიის ბაზაზე ივარჯიშა. ძოძუაშვილის გადაწყვეტილებით, საწვრთნელო პროცესი ღია იყო და მას გულშემატკივართა საკმაოდ დიდი რაოდენობაც დაესწრო. ამ ეტაპზე, ვარჯიშში დუბლშემადგენლობის რამდენიმე წევრმა და სინჯებზე მყოფმა ფეხბურთელებმაც მიიღეს მონაწილეობა, რომელთა შორის ორი აფრიკელიცაა.

ძოძუაშვილის თქმით, გამოცდილი ფეხბურთელები ბაზაზე 14 იანვრიდან გამოჩნდებიან და გუნდი დაახლოებით 6-8 მოთამაშით გაძლიერდება. კულუარებში მათი გვარებიც გაჟღერდა - **ვალერი აბრამიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, როინ კვასხვაძე, ზაალ ელიავა, მამუკა ლონლაძე, ლევან ხმალაძე, გიორგი შაშიაშვილი**... თუმცა, შეკრების პირველ დღეს ჩამოთვლილ ფეხბურთელთაგან, "ტორპედოს ბაზაზე მხოლოდ ლონლაძე იმყოფებოდა, რომელსაც საწვრთნელ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია.

*"მოლაპარაკება მიმდინარეობს. დიდი სურვილი მაქვს, ქუთაისურ გუნდში ვითამაშო. თუმცა სხვა ქართული კლუბებიდანაც მაქვს შემოთავაზებები და ჯერ ვერ ვიტყვი, სად გავაგრძელებ კარიერას. ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება"*, - გვითხრა ლონლაძემ.

"ტორპედოს" ძირითადი შემადგენლობიდან კი ბაზაზე მხოლოდ **ვაჟა ტაბატაძე** იმყოფებოდა, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის. მისი თქმით, მწვრთნელებთან და კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება, კარიერას "ტორპედოში" განაგრძობს თუ სხვა გუნდს მიაშურებს.

ალბათ, მკითხველისთვის "ტორპედოს" გულშემატკივართა პოზიციაც იქნება საინტერესო. ჩვენ რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.

**როლანდ ჭურაძე** ("ტორპედოს" ფანკლუბის ხელმძღვანელი): *"გადაწყვეტილია, რომ გუნდს რევაზ ძოძუაშვილი გაუძღვება და ეს ძალიან გვახარებს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ის ბრძოლისუნარიან გუნდს ჩამოაყალიბებს, რომელიც ზედა ექვსეულისთვის და თასისთვის იბრძოლებს. შეიცვლება კლუბის ლოგო და მას ის სიმბოლიკა დაუბრუნდება, რომელიც ზედიზედ სამგზის ჩემპიონობისას ჰქონდა... რაც შეეხება ახალ სპონსორს, ამბობენ, რომ "ტორპედოს" ყიდვა მერაბ ჟორდანიას უნდა, თუმცა ეს ინფორმაცია ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის".*

**ომარ ზივზივაძე**: *"მჯერა, რევაზ ძოძუაშვილი კარგ გუნდს შექმნის. ძლიერი სპეციალისტია. მას შეუძლია, გუნდი გამოუვალი მდგომარეობიდანაც გამოიყვანოს. შემადგენლობა, რომელსაც ის თავის გარშემო მოიკრებს, მგონია, რომ კარგი იქნება. ჭორის დონეზე ვიცით, რომ მერაბ ჟორდანიას უნდა "ტორპედოს" ყიდვა. თუ მართლაც ასე მოხდა, ეს ძალიან დიდი მნიშვნელობის ამბავი იქნება. ქუთაისში არის იმის პოტენციალი, რომ საშუალო ევროპული გუნდი შეიქმნას".*

### რევაზ ძოძუაშვილი: სუფთა ფურცლიდან ვიწყებთ

**კლუბში მიმდინარე პროცესებისა და გეგმების შესახებ უფრო ვრცლად "ტორპედოს" ახალ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს ვესაუბრეთ:**

- "ტორპედოს" ამჟამინდელ მდგომარეობას სახარბიელო არ ეთქმის. კლუბიდან სპონსორის წასვლით, გუნდმა ფინანსური სტაბილურობა დაკარგა და ეს ძალიან ცუდია, რადგან სერიოზული სახსრების გარეშე გუნდის შენება შეუძლებელია. საბედნიეროდ, მხარისა და ქალაქის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რომ "ტორპედო" გაძლიერდეს და ჩემპიონატში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდეს.

**- როგორც ითქვა, ძველმა სპონსორმა კლუბს სეზონის ბოლომდე სამყოფი თანხა დაუტოვა...**

- კი, ეს მართალია, კლუბისთვის გარკვეული თანხა დატოვეს ქალაქის მერიის ანგარიშზე და ახლა "ტორპედოს ბიუჯეტის დადგენას ველოდებით. მაგრამ გუნდის მთელი სიმდიდრე ფეხბურთელებია, სპონსორის წასვლის შემდეგ კი, რომელთანაც ფეხბურთელებს კონტრაქტები ჰქონდათ გაფორმებული, გუნდი თითქმის ყველა მათგანმა დატოვა. ძველმა სპონსორმა ისინი სხვადასხვა გუნდებში გადაანაწილა, "ტორპედო" კი, ფაქტობრივად, ნულზე დარჩა. ცარიელი ფურცლიდან გვიწევს გუნდის ჩამოყალიბება. მწვრთნელები ძალიან ცუდ სიტუაციაში ვართ, უმოკლეს დროში უნდა შევკრათ ახალი გუნდი და ჩემპიონატისთვის მოვამზადოთ. თანაც ისეთ პირობებში, როცა ყველა გუნდი ცდილობს, კარგი ფეხბურთელები გადაიბირონ. სატრანსფერო ბაზარზე დიდი კონკურენციაა. გარდა ამისა, პრობლემაა ისიც, რომ ბევრ ფეხბურთელს აქვს პრეტენზია, ითამაშოს "ტორპედოში". მათ ამ ერთი კვირის განმავლობაში უნდა დავაკვირდეთ და გადავწყვიტოთ, გვილირს თუ არა მათთან მუშაობის გაგრძელება. ვეცდებით, ჩვენი სასელექციო მუშაობა იყოს პროფესიული, მიზანმიმართული და რეალურად შევძლოთ გუნდის გაძლიერება.



რევაზ ძოძუაშვილი

**- საკმაოდ დიდი კავშირები გაქვთ, ბევრ ფეხბურთელს იცნობთ და მათთან საქმიანი ურთიერთობებიც გქონიათ. კულუარებში საუბრობენ, რომ "ტორპედო" რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს დაიმატებს, მათ შორის - ზურაბ მენთეშაშვილის, მამუკა ლონლაძის, ვალერი აბრამიძისა და სხვათა გვარებიც დასახელდა...**

- ვადასტურებ, ბევრ ფეხბურთელთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, მაგრამ კონკრეტულ გვარებს ვერ გეტყვით, რადგან ძალიან ბევრი მსურველია, რომ წლეულს ქუთაისის "ტორპედო" ჩაიძიროს... სასურველი ფეხბურთელები რომ გავამხილოთ, არ არის გამორიცხული, ისინი კონკურენტებმა გადაიბირონ.

**- ხომ არ ფლობთ ინფორმაციას, ვის ინტერესებში უნდა იყოს "ტორპედოს" ჩაძირვა?**

- ხომ ხედავთ, რომ უკვე დაწყებულია ეგ პროცესი?! 9 თამაშიდან 8-ს რომ წააგებს გუნდი, ჩაძირული არ არის? ყველაფერს სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. იყო ისეთი შემთხვევა, როცა დავასახელე კონკრეტული გვარები და სხვა გუნდებმა დაუწყეს იმ ფეხბურთელებს გადაბირება. თქვენ რომ ახსენეთ, მათთან მართლაც მიდის მოლაპარაკება და დიდი შანსია, "ტორპედოში" ითამაშონ. სხვებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და იმედია, საინტერესო შემადგენლობას მოვუყრით თავს.

**- თქვენთან ერთად ვინ იმუშავებს "ტორპედოში"?**

- ჩემს გვერდით იქნებიან ისეთი პიროვნებები, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ. ოფიციალურად, ჯერ გადაწყვეტილი არ არის და სამწვრთნელო შტაბი საბოლოო სახეს ქალაქის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს. აქ მოიაზრებიან ჯემალ ხერხაძე, დუგლას კავთელაშვილი, მეკარეების მწვრთნელად მიხეილ კვერნაძე იმუშავებს. "ტორპედოში" წლების განმავლობაში მუშაობდა ფიზმომზადების მწვრთნელი ევგენი გორგაძე და ის ახლაც ჩვენს გვერდით იქნება. გუნდის ექიმად მოვიწვიეთ დავით მურღულია, რომელსაც "ტორპედოში" მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს.

**- მერთან და გუბერნატორთანაც გქონდათ შეხვედრა?**



ჯემალ ხერხაძე მეორე მწვრთნელად იმუშავებს

- დიახ, გვქონდა შეხვედრა და ყველანაირ მხარდაჭერას დაგვპირდნენ. მაგრამ ფეხბურთი დინამიკითაა ალსავსე და მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება. დღეს რომ ჩვენ გვესაუბრებით, შესაძლოა, ხვალ აქ სხვა ადამიანები დაგხვდნენ, ასეც ხდება ხოლმე... რეალობა ის არის, რომ ყველაფერს ვიწყებთ სუფთა ფურცლიდან და იმედი გვაქვს, ქალაქის ხელმძღვანელობაც, ჟურნალისტებიც, გულშემატკივრებიც გვერდით დაგვიდგებიან და ერთიანი ძალისხმევით გუნდს მძიმე მდგომარეობიდან გამოვიყვანთ. არაერთხელ ვყოფილვართ ანალოგიურ სიტუაციაში, მაგრამ თითქმის დაშლილი გუნდები დაგვიყენებია ფეხზე. ძალისხმევას არც ახლა დავიშურებთ.

**- "სხვა ხალხი" ახსენეთ და, როგორც ითქვა, "ტორპედოს" თაობაზე გუბერნატორთან მალხაზ ასათიანიც იმყოფებოდა. ამის თაობაზე რას იტყვით?**

- ჩვენთან ერთად, ამ ეტაპზე, გიორგი დემეტრაძე და გიორგი ხურციძე არიან, რომელიც ამ ყველაფრის თავი და თავია. ასათიანი ჩვენთან ერთად არ ყოფილა, თუმცა მივესალმები, თუ ჩვენთან ერთად იმუშავებს. წლების განმავლობაში "ტორპედოში" ერთად არა ერთი გაჭირვებაც გადაგვიტანია და წარმატებისთვისაც მიგვიღწევია, ვალმოხდილია ამ გუნდის წინაშე და თუ სურვილი ექნება, მზად ვართ გვერდით დავიყენოთ.

**- სამომავლოდ როგორ გესახებათ - მერია უპატრონებს კლუბს თუ სპონსორი გამოიძებნება? ლაპარაკობენ, თითქოს მერაბ ჟორდანია აპირებს "ტორპედოს" შეძენას?**

- ვერ გეტყვით, აპირებს თუ არა ჟორდანია "ტორპედოს" შეძენას... ამ ეტაპზე კლუბს მერია და რეგიონის ხელმძღვანელობა უდგანან გვერდში, რადგან ქალაქის ყველა სიმდიდრე მათ ხელშია თავმოყრილი... ერთმანეთს საგოლე პასი თუ არ მივეცით, გოლს ვერ გავიტანთ. ასევე, გულშემატკივრებისა და ვეტერანების მხარდაჭერის იმედიც მაქვს. ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ "ტორპედო" გავაძლიეროთ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ვიტჯორჯიელები ქუთაისისკენ?

ბოლო დღეებში უამრავი ინფორმაცია ვრცელდება ქუთაისის "ტორპედოს" შესახებ. მაგალითად, ითქვა ისიც, თითქოს, სამწვრთნელო შტაბს **გია მეგრელაძეც** უნდა შეუერთდეს. დასახელდა რამდენიმე მოთამაშის გვარიც. მათი აყვანა, ცხადია, კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, ამტკიცებენ, რომ "ვისოლი" კლუბიდან ოფიციალურად ჯერ არ წასულა. გვარდება იურიდიული საკითხები, რომლის გარკვევის შემდეგ "ტორპედოს" ეკონომიკის სამინისტროს გადასცემენ. მხოლოდ ამის შემდეგ დადგება მისი ხელახალი გასხვისების თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის საკითხი.

რაც შეეხება მეგრელაძესთან დაკავშირებულ ამბავს, ამაზე კომენტარი **რევაზ ძოძუაშვილმა** გააკეთა: *"გია თავადაც კარგი მოთამაშე იყო და ისეთი საფეხბურთო ოჯახიდანაა, უარს ვერ ვიტყოდით. თავად კი სურს, რომ გუნდის მშენებლობაში მონაწილეობდეს, მაგრამ ჯერ ფინანსური საკითხები არ გარკვეულა და არ ვიცით, რა პირობებს შევთავაზებთ".*

შესაძლოა, ქუთაისის "ტორპედოში" ვიხილოთ "ვიტ ჯორჯიას" ორი მოთამაშე - **გურამ ადამაძე და გიორგი კორიფაძე**, აგრეთვე, რუსთავის "მეტალურგის" ცენტრალური ნახევარმცველი **გურამ გურეშიძე**. 25 წლის ცენტრალური მცველი ადამაძე ქუთაისელია და 2009 წლიდან მოყოლებული, "ვიტ ჯორჯიაში" 104 შეხვედრა (3 გოლი) აქვს ჩატარებული.

24 წლის მარჯვენა ნახევარმცველმა კორიფაძემ კი 2010 წლიდან "ვიტ ჯორჯიას" მაისურა უმაღლესი ლიგის 96 მატჩში (10 გოლი) მოირგო. ფლანგიდან შეტევებში დროული და შედეგიანი ჩართვები გამოარჩევს.



გიორგი კორიფაძე

გურეშიძე 3 სეზონის განმავლობაში იყო "ვიტ ჯორჯიას" წამყვანი მოთამაშე. "მეტალურგში" ის 2013 წლის ზაფხულში გადავიდა, მხოლოდ ერთხელ ითამაშა შეცვლაზე, დანარჩენი 17 მატჩი კი ძირითადში დაიწყო.

*"კლუბთან კონტრაქტი დამიმთავრდა და თავისუფალი აგენტი გავხდი. აქამდე, რამდენიმე ვარიანტი მქონდა, დამიკავშირდნენ "დილას", "ზუგდიდისა" და "მეტალურგის" წარმომადგენლები. მაგრამ პირველი წრის შემდეგ ლამის ყველა გუნდში დიდი გაურკვევლობაა. მითხრეს, რომ დაინტერესდა "ტორპედოც", რომლის ხელმძღვანელობასთან ჯერ არ მილაპარაკია. "ტორპედო" მუდამ ამბიციებით გამოირჩეოდა და თუ საკითხი გადაწყდება, ქუთაისში სიამოვნებით ვითამაშებ"*, - ამბობს კორიფაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

## ამბები

# ფული კი არის, მაგრამ გარანტიები?

ისევე როგორც სხვა გუნდებმა, სეზონის განახლებისთვის მზადება გორის "დილამაც" დაიწყო. ოფიციალურად, გუნდი სამმა ფეხბურთელმა დატოვა: **გრიგოლ დოლიძე** და **თეიმურაზ ლონლაძე** "ზესტაფონში" გადავიდნენ, **ირაკლი მოდებაძე** კი, თბილისის "დინამოში".

"დილა" მუნიციპალური კლუბია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გრძელვადიან პროექტებზე ვერ ექნება საქმე გათვლილი. მის ყველა ფეხბურთელს 2013 წლის ბოლოს დაუსრულდა კლუბთან კონტრაქტი, რადგან დაფინანსება კლუბს სწორედ გასული წლის ბოლომდე ჰქონდა.

"დილა" შუა გზაში არ მიატოვეს და კიდევ ერთხელ გამოუყვეს დაფინანსება. როგორც კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ზვიად შერმადინმა** გვითხრა, "დილას" 610 000 ლარი ჩაერიცხება და ეს თანხა მიმდინარე სეზონისთვის იქნება განკუთვნილი.

610 ათასი ლარი ბევრი არ არის, თუმცა ის თანხაა, რითიც გუნდმა უპრობლემოდ უნდა ჩაამთავროს სეზონი. ბოლო წლებში "დილას" უფრო მეტი დაფინანსება ჰქონდა, თუმცა საერთო სიტუაცია შეიცვალა. კლუბში ისიც გვითხრეს, რომ არ არის გამორიცხული, ფეხბურთელებს ჯამაგირი შეუმცირდეთ.

როგორც "დილას" მენეჯერმა **გია ისიანმა** გვამცნო, კლუბს ჯერ არ გაუფორმებია კონტრაქტი ფეხბურთელებთან - ამ ეტაპზე ჯერ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, გუნდი უკვე შეიკრიბა და ვარჯიშობს.

საფეხბურთო კლუბის არსებობა ემყარება უეფას საკლუბო ლიცენზირებას, რისთვისაც სხვადასხვა კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა საჭირო. როგორც შევიტყვეთ, ლიცენზირების ერთ-ერთი პირობა ფინანსური გარანტიებია - უეფა თურმე 18-თვიან ფინანსურ გარანტიას ითხოვს. მუნიციპალიტეტები საქართველოში საფეხბურთო კლუბს ხან ერთი წლით აფინანსებენ, ხან ექვსი თვით და ცხადია, ეს პრობლემებს ქმნის - როგორ უნდა დაიდოს ასეთ დროს ფინანსური გარანტიები?

ზოგადად, ბიზნესში ერთი ტიპის ფინანსური გარანტია არსებობს - მაღალი რეპუტაციის ბანკი. ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმე ასეთმა ბანკმა გასცეს გარანტია ეგრეთ წოდებულ საბიუჯეტო საფეხბურთო კლუბზე. მაშ, რა უნდა იყოს გამოსავალი?

ფედერაციამ რამდენიმე კლუბს უკვე გაუკეთა შეღავათი და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ლიცენზიის გარეშეც მისცა. გარკვეულ ეტაპზე ეს შესაძლოა გამართლებულიც იყო, მაგრამ სულ ასე ხომ ვერ იქნება?

"დილას" მენეჯერმა ისიანმა შარშან წარმოადგინა საქართველოში საკლუბო ფეხბურთის განვითარების სამწლიანი პროგრამა, რაც მოიცავდა როგორც მუნიციპალური, ასევე კერძო კლუბის ინტერესებსაც, თუმცა ამ პროგრამის ამოქმედება ვერ მოხერხდა, ვერც მსგავსი პროექტების ამუშავება გახდა შესაძლებელი. ექვსთვიანი თუ ერთწლიანი დაფინანსება სულ არაფერს ნამდვილად სჯობს, მაგრამ ეს ერთ ადგილზე ტკეპნაა, რასაც განვითარება ვერ მოაქვს...

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება

# სასიამოვნო სიურპრიზი

მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში არ ვიშურებდით ეპითეტებს ერთი კონკრეტული გუნდის ასპარეზობის გამო: უმაღლეს ლიგაში 11-წლიანი პაუზის მერე დაბრუნებულმა "გურიამ" მართლაც რომ სასიამოვნოდ გაგვაოცა და, ყველასათვის მოულოდნელად, ზამთრის პაუზას V ადგილზე შეხვდა. ეგ კი არა, რომ არა პირველი ეტაპის დასკვნით ხუთ მატჩში წარუმატებლობის სერია, ძალიან დიდი შანსი იყო, ლანჩხუთელთა საყვარელ გუნდს პირველ სამეულში დაესრულებინა ჩემპიონატის საშუალედო ეტაპი. არადა, ლაპარაკია გუნდზე, რომლის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაც ყველას ძალიან გაგვიხარდა და რომლის... მონაწილეობაც ამ სეზონში, ფაქტობრივად, ჩემპიონატის დაწყების დღეს გადაწყდა! ჰო, უცნაურობები თუ უსიამოვნებები არ მოჰკლებია ამ გუნდს ჯერ ზაფხულში (ანუ, ვიდრე სეზონი დაიწყებოდა), მერე კიდევ - უშუალოდ, ჩემპიონატის მსვლელობაშიც. ყველაზე საწყენი კი მაინც ის იყო, რომ ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო და გუნდის მთავარ მწვრთნელს დავით მახარაძეს იმ 11 ფეხბურთელისს მოძებნა უწევდა, პირველ ტურში "ვიტ ჯორჯიასთან" მოედანზე რომ გამოსულიყო...

აი, ასე - უფულოდ და ყოვლად მოუმზადებელი შეხვდა "გურია" ახალ სეზონს, რომელიც, რა თქმა უნდა, ლოგიკური მარცხით დაიწყო. ამას თან ისიც დაემატა, რომ ლანჩხუთის სტადიონის მოუწესრიგებლობის გამო "გურიას" საშინაო მატჩები, ფაქტობრივად, ნეიტრალურ მოედნებზე (ფოთი, ქობულეთი) უნდა ჩაეტარებინა და უმაღლეს ლიგაში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნებული გუნდი ძალიან ბევრმა განწირულ აუტსაიდერადაც "მონათლა". საბედნიეროდ, ასე არ მოხდა - უკვე მეორე ტურისათვის "გურიას" იმ ფეხბურთელთა ნაწილი დაუბრუნდა, რომელთა დამსახურებითაც წინა სეზონში პირველი ლიგის გათამაშება მოიგეს; ამას გარდა "გურიაში" რამდენიმე გამოცდილი ახალწვეული (მინდია ბობლიაშვილი, თენგიზ ჩიკვილაძე, ალექსანდრე კოშკაძე) ჩაირიცხა და ლანჩხუთელებმაც ერთი-მეორეზე სასიამოვნო სიურპრიზები მოუწყვეს თავის ერთგულ ქომაგებს; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 4 დეკემბრამდე სწორედ "გურია" იყო ერთადერთი გუნდი, საშინაო მატჩებში 100-პროცენტიანი შედეგი რომ ჰქონდა! ამასობაში, ერთი-ორი საგარეო გამარჯვების "დროც დადგა" და გამოკვეთილ აუტსაიდერობას რომ უწინასწარმეტყველებდნენ, აი, ის გუნდი... მესამე ადგილამდე აღზევდა! თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ლაპარაკია გუნდზე, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე რომ ასპარეზობდა და სადაც ფეხბურთელები... თამაშის დღეს იკრიბებოდნენ...

აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს კლუბის მესვეურთა აშკარად გაუმართლებელი საქციელი: 7 ტურის მერე დავით მახარაძის ნაცვლად "გურიას" მთავარ მწვრთნელად რომან პოკორა დაინიშნა. გამოცდილი უკრაინელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით "გურიამ" თავიდან რამდენიმე წარმატებული მატჩი კი ჩაატარა, მაგრამ პირველი ეტაპის დასკვნით ხუთ შეხვედრაში გუნდმა 4 მატჩი წააგო და პოკორასაც სამშობლოში გამგზავრებამ მოუწია...



დავით მახარაძე

### მეკარე

პირველი ტურის მატჩში "გურიას" კარს 24 წლის **მიხეილ გოგუაძე** იცავდა, აი, იმის შემდეგ კი ძირითადი მეკარის სტატუსი "სიონიდან" გადმოსულმა **მინდია ბობლიაშვილმა** "დაისაკუთრა". 30 წლის ბობლიაშვილს პირველი ეტაპი ურიგოდ ნამდვილად არ ჩაუტარებია, რის დასტურადაც ის ფაქტი გამოდგება, რომ ეს გამოცდილი მეკარე სამჯერ მოხვდა "ლელოს" ტრადიციულ "ტურის სიმბოლურ ნაკრებში".

### დაცვა

პირველ ეტაპზე "გურიას" შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ 22 წლის მარჯვენა მცველი **არნო ჩუენსუ**. კამერუნელი ფეხბურთელი წინა სეზონშიც (პირველ ლიგაში) გამორჩეული გახლდათ და თავი არც უმაღლეს ლიგაში შეურცხვენია. ცენტრალური მცველების "დუეტს" ახალწვეულები შეადგენდნენ: 25 წლის **ვალერი იობაშვილი** და 30 წლის **თენგიზ ჩიკვილაძე**.

აღსანიშნავია, რომ უმაღლეს ლიგაში გარკვეული პაუზის მერე დაბრუნებულმა ჩიკვილაძემ კვლავაც გააგრძელა... ბომბარდირული თვისებები: ამპლუით მცველისგან 4 გოლის გატანა პატარა ამბავი ნამდვილად არ არის. მარცხენა მცველის პოზიციაზე უკონკურენტო იყო სწრაფი და შეტევებში ჩართვის მოყვარული, 23 წლის **ნიკა ჯიშკარიანი**.

### ნახევარდაცვა

გუნდის საუკეთესო რგოლად უდავოდ ნახევარდაცვა უნდა მივიჩნიოთ; ისე როგორც წინა სეზონში (პირველ ლიგაში ასპარეზობის დროს), ახლაც ჩინებულად გაისარჯნენ "გურიას" სწრაფი გარემარბები: 29 წლის **კობა შალამბერიძე** (მარცხენაფლანგელი) და 24 წლის **ალექსანდრე შენგელია** (მარჯვენაფლანგელი) სამ-სამჯერ მოხვდნენ "ტურის სიმბოლურ ნაკრებში", ისე როგორც "გურიას" ყველაზე გამოცდილი ახალწვეული და ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბებული, 32 წლის **ალექსანდრე კოშკაძე**.

ეს უკანასკნელი თავის საყვარელ პოზიციაზე, თავდამსხმელის უკან ასპარეზობდა და საგოლე პასების გარდა რამდენჯერმე ეფექტური გოლებითაც გამოირჩა: ერთხელ, სულაც... კუთხურიდან "ჩააბზრიალა" ბურთი კარში!..



ალექსანდრე კოშკაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

რაც შეეხება საყრდენ ნახევარმცველებს, გამოცდილი, 33 წლის **ვლადიმერ ჯოჯუას** გვერდით უფრო ხშირად ახალგაზრდა, 20 წლის **ნოდარ გაჩეჩილაძე** ასპარეზობდა, ხან კიდევ - 23 წლის **ერეკლე კილაძე** თუ 32 წლის **ვიტალი დარჩიძე**. არც **ტარიელ კუკულაძე** უნდა გამოგვრჩეს: 31 წლის ადგილობრივი ფეხბურთელი ხომ "გურიას" ყველაზე სტაჟიანი წევრი გახლავთ.

### თავდასხმა

ახალი სეზონის დაწყებამდე "გურია" ორივე წამყვანმა და გამოცდილმა ფორვარდმა, **გიგა კვერენჩხილაძემ** და **მიხეილ კაკალაძემ** დატოვა; ამიტომაც, საჭირო იყო შედეგიანი თავდამსხმელის მოძებნა და როგორც მერე გაირკვა, "გურიას" არჩევანმა გაამართლა: "სიონიდან". გადმოყვანილი 22 წლის **ვილი ისიანი** კარიერაში, უდავოდ, საუკეთესო სეზონს ატარებს. აი, რაც შეეხება მეორე ახალწვეულ ფორვარდს, 27 წლის **მამუკა ტორონჯაძეს**, ძირითადად შეცვლებზე უწევდა თამაში.

### საუკეთესო მატჩი

ეს ფაქტი, ალბათ, თავიდანვე უნდა აღგვენიშნა: პირველ ეტაპზე "გურია" იყო ერთადერთი გუნდი, არც ერთი მატჩი ფრედ რომ არ უთამაშია!

აი, ასეთი უკომპრომისო გუნდით შეუძლიათ იამაყონ ლანჩხუთელებმა; ისე როგორც იმ ფაქტით, რომ "გურიამ" საშინაო მატჩებში (ოღონდ - სხვა ქალაქის სტადიონებზე) შეძლო და ერთი-მეორის მიყოლებით დაამარცხა თბილისის "დინამო", რუსთავის "მეტალურგი", გორის "დილა"; თანაც, ამ მოგებებიდან ვერც ერთს ვუწოდებთ შემთხვევითს...

### ყველაზე ცუდი მატჩი

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა X ტურში "ჩიხურასთან" სტუმრად ჩატარებული მატჩი უნდა მივიჩნიოთ, როცა "გურია" დიდი ანგარიშით (1:5) დამარცხდა. თუმცა, იმ მომენტისათვის ეს ფაქტი კატასტროფად არავინ აღიქვა.

სამაგიეროდ, დეკემბრის დასაწყისიდან გუნდს აშკარა კრიზისი დაეწყო და მოუმზადებელ-უვარჯიშებელ-უფულო გუნდმაც ერთი-მეორის მიყოლებით რამდენიმე მატჩი წააგო. აი, თუნდაც რუსთავში ჩატარებული შეხვედრა გავიხსენოთ, როცა "გურიას", ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არ გაუწევია "მეტალურგისათვის".

### მიზანი

ერთი შეხედვით, პირველი ეტაპი გუნდმა მართლაც კომფორტულ პოზიციაზე დაამთავრა, მაგრამ მეორე ეტაპის დაწყებამდე დარჩენილ ოთხ ტურში "გურიას" სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება, ზედა ექვსეულში ადგილი რომ შეინარჩუნოს. მით უმეტეს, რომ ოთხი ვაკანტური ადგილისათვის ("დინამოსა" და "ჩიხურას", ფაქტობრივად, განაღდებული აქვთ ზედა ექვსეულში მოხვედრა) ერთდროულად 6 გუნდი იბრძვის: "დილა", "სიონი", "გურია", "მეტალურგი", "ზესტაფონი" და "ვიტ ჯორჯია".

ჰო, "ტორპედოც" არ დაგვავიწყდეს: ქუთაისურ კლუბში ხომ სერიოზული ცვლილებები მოხდა ამ ზამთრის პაუზის დროს. თუმცა, სჯობს, ისევ "გურიას" დავუბრუნდეთ, რომლის გაძღოლა კვლავაც დავით მახარაძეს მიანდეს.

### გურიას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

I ეტაპი: 18 მატჩი, 9 მოგება, 0 ფრე, 9 წაგება, ბურთები: 20-25, ადგილი - V

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ვიტ ჯორჯია-გურია | 3:0 |
| II ტური | გურია-მერანი | 1:0 |
| III ტური | სიონი-გურია | 2:0 |
| IV ტური | გურია-დინამო | 2:1 |
| V ტური | ტორპედო-გურია | 1:0 |
| VI ტური | გურია-მეტალურგი | 3:1 |
| VII ტური | ზესტაფონი-გურია | 1:0 |
| VIII ტური | გურია-დილა | 2:0 |
| IX ტური | სპარტაკი-გურია | 0:1 |
| X ტური | ჩიხურა-გურია | 5:1 |
| XI ტური | გურია-ზუგდიდი | 1:0 |
| XII ტური | გურია-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| XIII ტური | მერანი-გურია | 1:2 |
| XIV ტური | გურია-სიონი | 1:2 |
| XV ტური | დინამო-გურია | 3:1 |
| XVI ტური | გურია-ტორპედო | 2:0 |
| XVII ტური | მეტალურგი-გურია | 3:1 |
| XVIII ტური | გურია-ზესტაფონი | 1:1 |

#### გურია 2013/14

მეკარეები: მინდია ბობლიაშვილი-17 (-22 გოლი), მიხეილ გოგუაძე - 1 (-3) გოლი);

მცველები: ნიკა ჯიშკარიანი -17, ვალერი იობაშვილი -17, არნო ჩუენსუ-17, თენგიზ ჩიკვილაძე-16 (4), ლევან ჩაგელიშვილი-4, გიგა ჭეიშვილი-4, ვიტალი შუმეიკო-1;

ნახევარმცველები: ალექსანდრე კოშკაძე-18 (4), ალექსანდრე შენგელია-17 (3), კობა შალამბერიძე-15 (2), ვლადიმერ ჯოჯუა-15, ნოდარ გაჩეჩილაძე-15, ერეკლე კილაძე-10, ტარიელ კუკულაძე-9, ვიტალი დარჩიძე-7, გიორგი ჯოხაძე-7, თეიმურაზ შარაშენიძე-3, ზურაბ ძამსაშვილი-2;

თავდამსხმელები: ვილი ისიანი-16 (6), მამუკა ტორონჯაძე -16 (1), გურამ მახარაძე-3, სერგო ფირცხალაიშვილი-1, სანდრო ბახია-1.

მთავარი მწვრთნელი: დავით მახარაძე (I-VII ტური).

რომან პოკორა (VIII-XVIII ტური).

ზუგდიდი


ლევან კუტალია

# გიორგი დარასელია ზესტაფონელებით გაძლიერდა

გუშინ "ზუგდიდმა" "ბაიას" სანვრთნელ ბაზაზე დუბლშემადგენლობასთან საკონტროლო შეხვედრა გამართა. მთავარი გუნდი ამ სახით იყო წარმოდგენილი: **ქვილითაია - კანკია, აფაქიძე, ვულპე, ქვარცხავა (46. მირცხულავა) - ქებაძე - კირკიტაძე (46. ბულია), კალანდარიშვილი, სიხარულია, ლომია - ქირია (59. ნიტაიშვილი).**

ანგარიში დუბლშემადგენლობის მოთამაშე **ლაშა მჭედლიშვილმა** გახსნა. შესვენებამდე, **შოთა ლომიას** წონასწორობის აღდგენა პენალტით შეეძლო, მაგრამ მეკარე **ნიკა ჯომიდავას** ვერ აჯობა.

მეორე ტაიმში ანგარიში **გიორგი ბულიამ** გაათანაბრა, 89-ე წუთზე **ზვიად სიხარულიამ** ძირითადი გუნდი დააწინაურა, მაგრამ დამატებულ მე-2 წუთზე **ცოტნე სამუშიამ** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:2.

ზუგდიდელთა ახალწვეულია **ნური კალანდარიშვილი.** ის ლუგანსკის "ზორიას" დუბლშემადგენლობაშია ნათამაშები, რომელიც ბოლო დროს დონბასლიგაში გამოდიოდა. ის გუშინ "ზუგდიდის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დარასელიამ** შემტევ ნახევარმცველადაც მოსინჯა და თავდასხმაშიც. კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ფრიდონ კერვალიშვილმა** გვითხრა, რომ კალანდარიშვილმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

გადაწყდა, რომ გუნდს დაუბრუნდება "ზესტაფონში" ნათამაშები **ლევან კუტალია,** რომელმაც თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. იმერული კლუბიდან დარასელია კიდევ ორ მოთამაშეს ელის - შემტევი ნახევარმცველი **გურამ სამუშია** და ცენტრალური მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი** ზუგდიდში იჯარით ითამაშებენ. ასევე იჯარაზე შეუთანხმდნენ თბილისის "დინამოს" და გუნდს ხვალ მეკარე **თორნიკე ზარქუას** შეუერთდება.

დარასელიას სურს, მომდევნო სპარინგი 19 იანვარს გამართოს, მაგრამ მის გეგმებს ის აბრკოლებს, რომ დასავლეთ საქართველოს გუნდების დიდ ნაწილში მზადების პროცესი არ დაწყებულა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# კობის ბოლო შეკრება?

ქართველ ლეგიონერთა უმრავლესობის კლუბებისთვის სეზონი ჯერ არ განახლებულა, თუმცა უკვე თითქმის ყველა ემზადება შეკრებაზე. ზოგიერთმა მათგანმა საკონტროლო მატჩების გამართვაც მოასწრო. კვიპროსში და პორტუგალიაში კი ჩემპიონატის მატჩები გაიმართა.

## სანამ გრიგალაშვილი შევიდოდა

კვიპროსული მედიის ხმები არ გამართლდა - "ანორთოსისის" ტექნიკურ დირექტორად **თემურ ქეცბაია** არ დაუნიშნავთ, თუმცა ამ გუნდთან კიდევ ერთი ქართველი - **შოთა გრიგალაშვილი** გვაკავშირებს. გუშინ "ანორთოსისი" შინ "ალკისთან" 0:1-ს აგებდა, სანამ 58-ე წუთზე მოედანზე ქართველი ნახევარმცველი არ გამოვიდა - საბოლოოდ, "ანორთოსისმა" 3:1 მოიგო და ჩემპიონატში 30 ქულით მეხუთეა.

## ფრე ჰამბურგთან

აბუ დაბიში შეკრებაზე მყოფმა არნემის "ვიტესმა" მეორე საკონტროლო მატჩი გამართა, კვლავ ბუნდესლიგის გუნდთან - ამჯერად, "ჰამბურგს" 0:0 დაუზავდა. ამ შეხვედრაში 90 წუთი გაისარჯა კაპიტანი **გურამ კაშია,** ხოლო **ვალერი ყაზაიშვილი** მოედანზე 73-ე წუთზე გამოჩნდა, **გიორგი ჭანტურიას** კი არ უთამაშია.

## ბოლო შეკრება კარიერაში?

როგორც ბერლინის "ჰერტას" ოფიციალური საიტი წერს, **ლევან კობიაშვილს** 19-წლიან კარიერაში ბოლო შეკრება აქვს, "ჰერტა" თურქეთშია. "აარაუსთან" თამაშში ლევანს მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მწვრთნელმა **იოს ლუჰუკაიმ** მაშინვე თქვა, რომ კობი "ჰანოვერთან" ითამაშებდა და ასეც მოხდა - "ჰანოვერთან" 0:0 დასრულებული შეხვედრის პირველ ტაიმში ქართველი მცველი მოედანზე იმყოფებოდა.


ლევან კობიაშვილი და ჰერტას მთავარი მწვრთნელი იოს ლუჰუკაი

## ქართულ-აფხაზური წყვილი

რუსული პრემიერლიგის 4 კლუბში ქართველი ლეგიონერი თამაშობს ჯერ მხოლოდ **ჯანო ანანიძის** "როსტოვი" არ ემზადება, **ალექსანდრე ამისულაშვილის** "კრილია სოვეტოვი", **საბა კვირკველიას** "რუბინი" და **გია გრიგალავას** "ანჟი" უკვე თურქეთში იმყოფებიან. თავიანთ გუნდებში ჩვეულებრივ ვარჯიშობენ ჩვენებურებიც.

თურქულ შეკრებაზე იმყოფება რუსული I დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერი "მორდოვიაც", რომელმაც 11 იანვარს პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა - ყაზახური "ქაისარი" 1:0 დაამარცხა. ჩვენებურმა **აკაკი ხუბუტიამ** 90 წუთი ითამაშა დაცვის ცენტრში. სხვათა შორის, მისი მეწყვილე **ანრი ხაგუში** გახლდათ, აფხაზი ფეხბურთელი, რომელიც "მორდოვიაში" სინჯებზეა.

## სპარტაკი დაიშალა, ალანია გადარჩა

I დივიზიონის კლუბებს დალხენილი ცხოვრება სულაც არა აქვთ. ახლახან დაიშალა ნალჩიკის "სპარტაკი" და **დავით სირაძე** უკლუბოდ დარჩა. გუნდს ფეხბურთელების მიმართ დავალიანება დარჩა (2 თვეზე მეტი), ამიტომაც ფეხბურთელებმა ყაბარდო-ბალყარეთის სპორტის მინისტრს მიმართეს თხოვნით, გამოიძიონ "სპარტაკის" ფინანსური კრახის მიზეზები, დამნაშავეები დაისაჯონ და ფეხბურთელებს დავალიანებები გაუსტუმრონ. მიმართვას ხელს ქართველი ფორვარდიც აწერს.

აი, **ოთარ მარცვალაძისა** და **გოჩა ხოჯავას** "ალანია" დაშლას კი გადაურჩა, მაგრამ... 9 იანვარს კლუბმა მიიღო გადაწყვეტილება ჩემპიონატიდან გასულიყო, თუმცა 12-ში პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა აპირებს ფეხბურთელთა დავალიანების (8 თვე) გადახდას). გუნდი ვერ წავა შეკრებაზე, თუმცა ჩემპიონატში ითამაშებს. თითოეულ ფეხბურთელს ახალ (გაუარესებულ) პირობებს შესთავაზებენ და ვინც დარჩება, ის ითამაშებს მეორე წრეში.

## სად არის გოგუა?

ხაბაროვსკის "სკა-ენერგია" ისრაელში წავიდა შეკრებაზე და მას მხოლოდ ერთი ქართველი ლეგიონერი გაყვა - **გიორგი ნავალოვსკი. გოგიტა გოგუა** სიაში არ იყო, რამაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რუსულ მედიაში დაიწერა, რომ გოგუა "ლუჩ-ენერგიაში" გადადის, თუმცა ბოლო ცნობით, "სკა-ენერგიას" ხელმძღვანელობამ გოგუას პირველი შეკრების გამოტოვების უფლება მისცა, ოჯახური მდგომარეობის გამო. "სკა-ენერგია" ისრაელში 29 იანვრამდე დარჩება.

აქვე ვიტყვით, რომ **ზურაბ არზიანის** "გაზოვიკი" მოგვიანებით, 17 იანვარს შეიკრიბება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მერანი

# ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები


მერანს ზურაბ იონანიძე გაწვრთნის

"მერანში" მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებია. გუნდი მთავარმა მწვრთნელმა **კახა ჩხეტიანმა** დატოვა. ახალგაზრდა სპეციალისტის მოღვაწეობა ხანმოკლე და წარუმატებელი გამოდგა. მისი ხელმძღვანელობით "მერანმა" უკანასკნელი 11 მატჩიდან მხოლოდ ქულა მოიპოვა. ჩხეტიანი მუშაობას "ზესტაფონის" სელექციონერად გააგრძელებს.

მის გარდა, "მერანი" ერთბაშად ათმა ფეხბურთელმა დატოვა და ვინ სად ითამაშებს, ჯერ ცნობილი არ არის, გარდა ერთისა - გაირკვა, რომ 18 წლის **ირაკლი ციცხვაია** "დინამო 2-ს" შეუერთდა.

მეორე ეტაპისათვის მზადება "მერანმა" 10 იანვარს, ახალი მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით დაიწყო. გუნდს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი **ზურაბ იონანიძე** უთავკაცებს. ის ბოლო დროს "ზესტაფონის" მწვრთნელ-სელექციონერად მუშაობდა. რაც შეეხებათ ახალწვეულებს, მათი უმეტესობა დუბლშემადგენლობიდან დააწინაურეს, თუმცა რამდენიმე ცნობილი მოთამაშეც დაიმატეს: "ზუგდიდიდან" მეკარე **ზურაბ მამალაძე** (31 წლის), "გაგრადან" **გიორგი ბეგაშვილი** (22), "ჩიხურადან" **გაგა ჩხეტიანი** (30), "ზესტაფონიდან" **ალექსი ბენაშვილი** (24 ), "გურიიდან" **ვლადიმერ ჯოჯუა** (33). ხელშეკრულება უკვე გააფორმა "გაგრას" ექსკაპიტანმა **გიორგი ტყეშელაშვილმა,** თუმცა ტრამვის გამო გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს.

*"სამწვრთნელო პროცესი ახალი დაწყებული გვაქვს. ვარჯიშებს მარტვილსა და სამტრედიაში ვატარებთ. ვგეგმავთ, უახლოეს მომავალში რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატოთ. "მერანის" მიზანი . კვლავ უცვლელია - ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს არც ისე ადვილია, მაგრამ არა - შეუძლებელი. სავარაუდოდ, შეკრებას თებერვლის დასაწყისში, ანტალიაში ან ურეკში გავივლით",* - გვითხრა ზურაბ იონანიძემ.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ მარტვილელებისთვის კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება სტადიონის საკითხი. ამის მიუხედავად, ისინი იმედს არ კარგავენ და სახელმწიფოს მხრიდან გაცემული დაპირების ასრულების მოლოდინში არიან.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად "მერანი" 13 ქულით ბოლო ადგილზეა. საუკეთესოთა მარაქაში დასარჩენად მარტვილელებს დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

**ბესიკ გვაზავა**

I ლიგა. შუქურა

# ჩხარტიშვილი შეროზიამ შეცვალა

ქობულეთის "შუქურას" იანვრიდან ახალი მთავარი მწვრთნელი - **ბესიკ შეროზია** გაწვრთნის. საქმეს მისი წინამორბედი **ვალერიან ჩხარტიშვილიც** კარგად უძღვებოდა: გამოცდილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, გუნდმა პირველი ლიგის A ზონაში საშემოდგომო ეტაპი 29 ქულითა და მეორე ადგილით დაასრულა. ახლა ქობულეთელები ლიდერ ფოთის "კოლხეთს" მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებიან.

ჩხარტიშვილის ჩანაცვლების მიზეზი მისი ჯანმრთელობის გაუარესება გახდა - ის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა. "შუქურას" პრეზიდენტმა **რევაზ ჩელებაძემ** კი კეთილშობილური ნაბიჯი გადადგა - როგორც მან თქვა, გამოცდილი სპეციალისტი კლუბს სხვა როლში დაეხმარება.

ახალმა მწვრთნელმა "შუქურას" ფეხბურთელები უკვე შეკრიბა და მეორე წრისთვის მზადებას შეუდგა. 52 წლის სპეციალისტს უმაღლესი ლიგის გუნდებთან მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. თავის დროზე, შეროზია თბილისის "სპარტაკს", ზუგდიდის "მგლებსა" და "ბაიას", ასევე, ფოთისა და ხობის "კოლხეთებს" ავარჯიშებდა.

2013 წლის შემოდგომიდან შეროზიამ II ლიგის დასავლეთ ზონაში მოასპარეზე ზუგდიდის "ლაზიკა" ჩაიბარა. პირველი წრის შემდეგ ეს გუნდი 31 ქულით ერთპიროვნული ლიდერია და კონკურენტ სენაკის "ეგრისს" 4 ქულით უსწრებს.

შეროზიამ ახალწვეულთა ვინაობა გაგვიმხილა: "შუქურამ" "სამტრედიიდან" დაიმატა შემტევი ნახევარმცველი **ლაშა ჩალაძე,** ხოლო "გაგრადან" ცენტრალური მცველი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **ლაშა კალანდაძე** და 19-წლამდელთა ნაკრების ექსშემტევი ნახევარმცველი **ნიკა ჭკუასელი.** კლუბში ვარჯიშობს ლეგენდარული **სერგო კოტრიკაძის** შვილიშვილი **ბუთა კოტრიკაძე,** რომელიც აქამდე II ლიგის "მარკ სტარში" თამაშობდა.


ბესიკ შეროზია

ქობულეთში ორი ლეგიონერიც მიიწვიეს და ორივე - რუსეთიდან: "ხიმკის" ყოფილი საყრდენი ნახევარმცველი **მარკ გოლიხინია და** ოსი თავდამსხმელი **რუსტან ხუდიევი.** ორივე 1994 წელსაა დაბადებული. ხუდიევი ბოლო პერიოდში კიშინიოვის "დაჩიაში" თამაშობდა.

რაც შეეხება მოსამზადებელი ეტაპის გეგმებს. შეროზიას თქმით, შეკრება ქობულეთში დაიწყო. 19 იანვრიდან გუნდი ორჯერად ვარჯიშებზე გადავა, ხოლო ამის შემდეგ ქობულეთის სასტუმრო "პანორამაში" დაბანაკდებიან და სრულფასოვან შეკრებას დაიწყებენ:

*"რევაზ ჩელებაძემ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, პირველი ლიგის კვალობაზე, მშვენიერი სამუშაო პირობები შეგვიქმნეს. ჩვენი მიზანი პირველ ლიგაში პოზიციის გამყარება და უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაა. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული",* - გვითხრა შეროზიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ცხადაძის პოკერი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა აზერბაიჯანის ყველაზე "ქართულმა კლუბმა", ბაქოს "ინტერმა" შაბათს პირველი სპარინგ-მატჩი გამართა. ქართველი სპეციალისტების, **კახა ცხადაძისა** და **ზაურ სვანაძის** დამოძღვრილი გუნდის მეტოქე ჰოლანდიის ქვედა ლიგის წარმომადგენელი "ასტენი" იყო და "ინტერმაც" დიდი ანგარიშით, 8:0 გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ამ სპარინგ-მატჩში თავი გამოიჩინა "ინტერის" ქართველმა ლეგიონერმა, 26 წლის **ბაჩანა ცხადაძემ,** რომელმაც მეტოქის კარში 4 გოლი გაიტანა. ეს იყო ქართველი ფორვარდის პირველი მატჩი 2013 წლის 30 ნოემბრის შემდეგ: "ბაქოსთან" მატჩის ბოლო წამზე ცხადაძემ თავისა და სახის არეში უმძიმესი ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მკურნალობდა.

ცხადაძის გარდა, "ინტერის" ძირითადში დაიწყეს თამაში ცენტრალურმა მცველმა **ლაშა სალუქვაძემ,** გარემარბმა **ალექსანდრე იაშვილმა** და ახლო წარსულში თბილისის "დინამოს" ნახევარმცველმა **მიკელ ალვარომ.** მოგეხსენებათ, რომ ალვაროც დიდი ხნის განმავლობაში ტრავმირებული იყო და ნელ-ნელა უბრუნდება ოპტიმალურ ფორმას. სხვათა შორის, ამ საკონტროლო მატჩში ალვარომ ერთი გოლის გატანაც შეძლო.

მომდევნო სპარინგ-მატჩს ბაქოს "ინტერი" 15 იანვარს გერმანიის III ბუნდესლიგის წარმომადგენელ "კილთან" ჩაატარებს.

**გია გაგოშიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტური

# საჭადრაკო პარტია

ტურის ცენტრალურმა მატჩმა ნეიტრალური ქომაგის იმედი ვერ გაამართლა - შეხვედრა ზედმეტად ფრთხილი და ჩაკეტილი გამოდგა. ლიდერებმა ქულები გაიყვეს და პირველ-მეორე პოზიცია შეინარჩუნეს, მადრიდის „რეალს" კი წინ გაქცეულ დუეტთან სხვაობის შემცირების შანსი მიეცა.

## დაძაბული, მაგრამ არასანახაობრივი

„ვისენტე კალდერონზე" გასამართ შეხვედრას გულშემატკივრები დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ. გარდა იმისა, რომ თამაში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სატურნირო ცხრილის თვალსაზრისით, მას ასევე ფსიქოლოგიური დატვირთვაც გააჩნდა - არნაგების შემთხვევაში ხომ **დიეგო სიმეონეს** გუნდი უკანასკნელ (თუ შემორჩა საერთოდ ასეთი) სკეპტიკოსსაც კი გააჩუმებდა.

„ატლეტიკო" და „ბარსელონა" ამ სეზონში ერთმანეთს უკვე მესამედ შეხვდნენ და კატალონიელებმა დედაქალაქელებს ვერც ამჯერად სძლიეს. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის სუპერთასზე გამართული



ხერარდო მარტინომ და დიეგო სიმეონემ მესამედაც ფრედ ითამაშეს

ორივე შეხვედრა ფრედ (1:1 მადრიდში და 0:0 ბარსელონაში) დასრულდა.

ორივე გუნდმა თამაში ჩვეული განლაგებით დაიწყო. დიეგო სიმეონეს განკარგულებაში უძლიერესი შემადგენლობა იყო, **ხერარდო მარტინომ** კი გამოჯანმრთელებული **ლიონელ მესი** და **ნეიმარი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა. 90 წუთის განმავლობაში სულ რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ 100-პროცენტიანი ერთზეც არ ითქმოდა. ყველაზე რეალური შანსი **დიეგო კოშტას** ჰქონდა, მაგრამ გაესპანელებულმა ბრაზილიელმა კარს ახლო მანძილიდან ააცილა.

მესი მოედანზე მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გამოჩნდა - არგენტინელმა **ანდრეს ინიესტა** შეცვალა, რომელმაც პირველ ნახევარში ტრავმა მიიღო და მარტინომ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ჯანმრთელობით არ გარისკა. „პულგას" გამოჩენამ „ბარსას" შეტევები გამოაცოცხლა. სტუმართა 10-იანი **ტიბო კურტუას** კარს რამდენჯერმე დაემუქრა, მაგრამ ბელგიელი მეკარე დამაჯერებლად ირჯებოდა, ერთ ეპიზოდში კი მესიმ თავისივე წამოწყებული კომბინაცია თავური დარტყმით დაასრულა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. „ატლეტიკოს" მხრიდან შეტევაში **კოკე** და **არდა თურანი** აქტიურობდნენ, მაგრამ მათი დარტყმები **ვიქტორ ვალდესისთვის** ხიფათს არ წარმოადგენდა.

საბოლოო ჯამში, თამაში აბსოლუტურად თანაბარი გამოდგა და ნულოვანი ფრეც ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ორივე გუნდის დამრიგებელი თამაშის შემდეგ კმაყოფილი იყო.

დიეგო სიმეონე: *„ატლეტიკოს" და „ბარსელონას" შორის სხვაობა სულ რალაც 400 მილიონია, ასე რომ, შედეგით და ნაჩვენები თამაშით კმაყოფილი ვარ. გეთანხმებით, ეს შეხვედრა საჭადრაკო პარტიას უფრო ჰგავდა. გულშემატკივრებს გოლების ნახვა სურთ, მაგრამ ჩვენ პირველ რიგში ჭკვიანური ფეხბურთის თამაშს ვცდილობთ. „ბარსამ" ბოლო მატჩებში ბევრი გოლი გაიტანა და მათთვის თავისუფალი სივრცე რომ მიგვეცა, მაშინ აუცილებლად დავისჯებოდით".*

ხერარდო მარტინო: *„ფრე ნორმალური შედეგია. შინ კმაყოფილები არ მივემგზავრებით, მაგრამ საწუწუნოც არაფერი გვაქვს. ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით დაცვაში. შესაძლოა, შეტევაში დინამიკა გვაკლდა, მაგრამ მთლიანობაში ჩვენს თამაშზე აუგს ვერ ვიტყვი. გუნდი ნელ-ნელა უმატებს. სატურნირო ცხრილში 50 ქულა გვაქვს, რაც კარგი შედეგია, ეს ფრე კი ჩვენ კიდევ უფრო გაგვაძლიერებს".*

## რეალს გაუჭირდა

კონკურენტების მიერ ქულების დაკარგვით ისარგებლა „რეალმა", რომელსაც კატალონიის დედაქალაქში საკმაოდ რთული თამაში ჰქონდა. „ესპანიოლმა" მადრიდელებს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგო.

**კარლო ანჩელოტიმ ქარიმ ბენზემას** უკან **ანხელ დი მარია**, **გარეთ ბეილი** და **კრიშტიანო რონალდო** გაამწესა, **ისკო** კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. არ უთამაშია **ალვარო მორატასაც**, რომლითაც რამდენიმე კლუბია დაინტერესებული და არაა გამორიცხული ახალგაზრდა ფეხბურთელმა „სამეფო კლუბი" იჯარით დატოვოს.

უპირატესობას მთელი შეხვედრის განმავლობაში „რეალი" კი ფლობდა, მაგრამ **კიკო კასილიას** კარის აღება სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმის დებიუტში მოახერხეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი **პეპემ** გაიტანა, რომელმაც **ლუკა მოდრიჩის** საგოლე პასით იხეირა. პორტუგალიელმა მცველმა ამ სეზონში თავი უკვე მესამედ გამოიჩინა, რაც გასაოცარი შედეგია, რადგან წინა 6 სეზონში მის ანგარიშზე მხოლოდ 4 გოლი იყო (თითო-თითო ბურთი ბოლო 4 სეზონში).

## გოლეადა ახალ სან მამესზე

ბილბაოს „ატლეტიკმა" კარგ ფორმაში შესულ „ალმერიას" კუდით ქვა ასროლინა და 6:1 მოუგო. სტუმრებს ზედიზედ ორი გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული და „სან მამეს ბარიაზე" გასამართ შეხვედრას ოპტიმიზმით ელოდნენ, თუმცა ანდალუსიელებისთვის ამ შეხვედრაში ყველაფერი 30-ე წუთზე დასრულდა, როდესაც **აიმერიკ ლაპორტმა** ანგარიში 3:0 გახადა. მართალია, მალე **ელდერ ბარბოსამ** სხვაობა შეამცირა, მაგრამ „ბილბაომ" მეტოქეს მინიმალური შანსიც არ მისცა და მეორე ტაიმში **ესტებანს** ბურთი კარიდან კიდევ სამჯერ გამოატანინა. შეხვედრის პირველი გოლი **მიკელ რიკომ** გაიტანა და ალსანიშნავია, რომ 36 წლის ფეხბურთელისთვის ეს ამ ჩემპიონატში უკვე მეხუთე გოლი იყო - ვეტერანი საყრდენისთვის შესანიშნავი შედეგია.

## სევილიელთა განსხვავებული სერიები

ევროთასების საგზურისთვის მებრძოლი „სევილია" მარცხს ბოლო წუთებზე გადაურჩა. **უნაი ემერის** შეგირდები „ელჩეს" მთელი შეხვედრის განმავლობაში სჯობდნენ, მაგრამ ვეტერან **ტონიოს** კარს გასალებს ვერაფრით არგებდნენ. სტუმართა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც მოედანზე **კრისტიან ერერა** გამოვიდა - „ელჩეს" ახალგაზრდა შემტევმა, ასევე ცვლილებაზე გამოსული **ფიდელის** პასი შეირგო და მასპინძლები დააწინაურა. „სევილიას" მხსნელად **დანიელ კარისო** მოევლინა - პორტუგალიელმა ბოლოსწინა წუთზე გაიტანა და საკუთარი გუნდის დაუმარცხებელი სერია 7 მატჩამდე გაზარდა.

13-მდე გაიზარდა კიდევ ერთი სევილიური გუნდის, „ბეტისის" სერია, ოღონდ „მწვანეების" სამწუხაროდ აქ საქმე მოუგებელ მატჩებთან გვაქვს. ამ ტურში **ხუან გარიდოს** შეგირდები „ოსასუნას" მასპინძლობდნენ და ფავორიტებადაც მოჩანდნენ, მაგრამ „ბეტისმა" მორიგი მარცხი განიცადა. **ნონო, ხორდი ფიგერასი** და **რუბენ კასტრო** - აი, ამ შეხვედრის სამი ანტიგმირი. პირველმა პირველივე ტაიმში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და გუნდი კაცნაკლული დატოვა, მეორემ ცვლილებაზე გამოსვლიდან რამდენიმე წუთში საკუთარ კარში გაიტანა, მესამემ კი პენალტი ვერ გამოიყენა. გაძევება, ავტოგოლი, გაფუჭებული პენალტი - როდესაც გუნდი ამ ყველაფერს ერთ შეხვედრაში მოახერხებს, ის სამ ქულას ნამდვილად არ იმსახურებს.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

### გრანადა-ვალიადოლიდი 4:0

**გოლები:** 1:0 მურილიო (12), 2:0 რესიო (22), 3:0 რესიო (55), 4:0 ელ-არაბი (78)

**გრანადა (4-3-2-1):** რობერტო - ნიომი, მაინსი, მურილიო (64. კოეფი), ანგულო - რესიო (83. მ. პერეირა), იტურა, ფრან რიკო - ბრაჰიმი, პიტი - ელ-არაბი (86. რიკი)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დიეგო მარინიო - რუკავინა, მარკ ვალიენტე, ხესუს რუედა, პენია - ვიქტორ პერესი (46. სასტრე - 61. ბარახა), ფ. როსი - ო. რამოსი, ოსკარი, ბერგდიხი (46. დ. ლარსონი) - ხავი გერა

**გაფრთხილება:** - ო. რამოსი, რუკავინა, ხესუს რუედა

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15-11 (8-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 12 338

### ბილბაო-ალმერია 6:1

**გოლები:** 1:0 მიკელ რიკო (6), 2:0 ანდერ ერერა (11), 3:0 ლაპორტი (30), 3:1 ელდერ ბარბოსა (34), 4:1 ადურისი (52), 5:1 იბაი გომესი (68), 6:1 იბაი გომესი (87-პენ)

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ლაპორტი, ბალენსიაგა - მიკელ რიკო, იტურასპე - სუსაეტა (50. იბაი გომესი), ანდერ ერერა, მუნიაინი (61. დე მარკოსი) - ადურისი (75. კიკე სოლა)

**ალმერია (4-2-3-1):** ესტებანი - რაფიტა, ტრუხილიო, ტორსილიერი, დუბარბიერი - ვერსა, აზიზი - ალექს ვიდალი (67. სუსო), სორიანო (55. ზონგო), ელდერ ბარბოსა - ოსკარ დიასი (54. ტებარი)

**გაფრთხილება:** სან ხოსე, მიკელ რიკო - ტორსილიერი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 15-9 (7-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 35 000

### სელტა-ვალენსია 2:1

**გოლები:** 0:1 პარეხო (23), 1:1 შარლესი (50), 2:1 შარლესი (78)

**სელტა (4-2-3-1):** იოელი - უგო მალიო, კაბრალი, ფონტასი, ჯ. კასტრო - ბორხა ოუბინია, ალექს ლოპესი (71. კრონ-დელი) - ა. ფერნანდესი (72. ნოლიტო), რაფაელ ალკანტარა, ფ. ორელიანა - შარლესი (80. სანტი მინა)

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟოაო პერეირა, რ. კოშტა (77. ბერნატი), მატიო (39. ვიქტორ რუისი), გუარდადო - ორიოლ რომეუ, პარეხო (64. ხავი ფუეგო) - ფეგული, კანალესი, პ. პიატი - ჟონასი

**გაფრთხილება:** - ჟოაო პერეირა, გუარდადო

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 21-11 (8-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 20 000

### ატლეტიკო-ბარსელონა 0:0

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე, ტიაგო (83. კ. როდრიგესი), გაბი, არდა თურანი - დიეგო კოშტა, ვილია (77. რაულ გარსია)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა (46. მესი) - ა. სანჩესი (67. ნეიმარი), ფაბრეგასი, პედრო (82. სერხი რობერტო)

**გაფრთხილება:** გაბი, გოდინი - ალბა, მასკერანო, დანი ალვეში

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 17-9; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 6-9 (2-2); **ბურთის ფლობა:** 31%-69%

**მაყურებელი:** 54 800

### ელჩე-სევილია 1:1

**გოლები:** 1:0 კრისტიან ერერა (82), 1:1 დანიელ კარისო (89)

**ელჩე (4-2-3-1):** ტონიო - დ. სუარესი, პელეგრინი, ლომბანი, ედუ ალბაკარი - ხავი მარკესი, რუბენ პერესი - კარლეს ხილი (79. კრისტიან ერერა), კორომინასი, აარონ ნიგესი (70. ფიდელი) - ბოაკი (85. რივერა)

**სევილია (4-4-1-1):** ბეტუ - კოკე, ფასიო, დანიელ კარისო, ფ. ნავარო - ხ. რეიესი, მბია (71. პარეხა), იბორა (66. გამეირო), ვიტოლო - რაკიტიჩი - ბაკა (81. მარინი)

**გაფრთხილება:** პელეგრინი, კარლეს ხილი - იბორა, დანიელ კარისო, ხ. რეიესი

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 7-23; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 10-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 20 014

### ხეტაფე-ვალეკანო 0:1

**გოლი:** 0:1 ბუენო (29)

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ხუან ვალერა (62. დიეგო კასტრო), ლისანდრო ლოპესი, რაფა, ს. ესკუდერო - ლასენი, ბორხა - პედრო ლეონი (75. გავილანი), ლაფიტა (67. ა. კოლუნგა), პ. სარაბია - მარიკა

**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, საულ ნიგესი, ნაჩო მარტინესი - რაულ ბაენა, ტრაშორასი - ლ. ბანგურა (82. რუბენ რამირო), ბუენო (72. ადრიანი), ხ. ვიერა - ნ. კასტილიო (73. ადრი ემბარბა)

**გაფრთხილება:** ს. ესკუდერო, პედრო ლეონი, გავილანი, ლასენი, ა. კოლუნგა - ნაჩო მარტინესი

**კუთხური:** 12-7; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-14 (5-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 8 000

### ბეტისი-ოსასუნა 1:2

**გოლები:** 0:1 რობერტო ტორესი (2), 0:2 ხ. ფიგერასი (57-საკ. კარში), 1:2 ხორხე მოლინა (80)

**ბეტისი (4-2-3-1):** ანდერსენი - ხუანფრანი (46. ხორხე მოლინა), პაულაო, ამაია, ნაჩო - ნონო, ლ. რეიესი - ლეო ბაპტიშტაო (75. ჩული), სალვა სევილია (46. ხ. ფიგერასი), ა. ვადილიო - რუბენ კასტრო

**ოსასუნა (4-2-3-1):** ანდრეს ფერნანდესი - მარკ ბერტრანი, არიბასი, ლოტიე, დამია - ლოლო, ფ. სილვა - სეხუდო (76. ოიერი), რობერტო ტორესი, დე ლას კუევასი (59. ხ. აკუნია) - ორიოლ რიერა (61. რიესგო)

გამოუყენებელი პენალტი: რუბენ კასტრო (62. ბეტისი)

**გაფრთხილება:** ნონო, ლ. რეიესი, ხ. ფიგერასი, ამაია, ნაჩო - დე ლას კუევასი, ხ. აკუნია

**გაძევება:** ნონო (38. ბეტისი), ანდრეს ფერნანდესი (60. ოსასუნა)

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 20-11; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 22-7 (8-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 28 000

### ესპანიოლი-რეალი 0:1

**გოლი:** 0:1 პეპე (55)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხავი ლოპესი, კოლოტო, ე. მორენო, ხუან ფუენტესი - ვიქტორ სანჩესი, რაულ როდრიგესი - სტუანი (84. პიცი), ალექსი (65. ლანსაროტე), ტორიე (65. სიმაო) - ჯ. კორდობა

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - დანიელ კარვახალი (90. არბელოა), პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი - დი მარია, ბეილი (76. ხესე როდრიგესი), კრიშტიანო რონალდო - ბენზემა (90. ილიარამენდი)

**გაფრთხილება:** ტორიე, ჯ. კორდობა - მოდრიჩი

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 10-23 (1-8); **ბურთის ფლობა:** 32%-68%

**მაყურებელი:** 32 131

### ლევანტე-მალაგა 1:0

**გოლი:** 1:0 ბარალი (19)

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ვინტრა, კარაბელასი, ხუანფრანი - სიმაო ჟუნიორი, სერჟიუ პინტუ (46. კამარასა) - სუმეტრა, რუბენ გარსია (86. ექტორ როდასი), ივანშიტცი (61. პედრო რიოსი) - ბარალი

**მალაგა (4-2-3-1):** ვ. კაბალიერო - ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ველიგტონი (34. ფლავიო), ელიზეუ - ტისონე (78. ხუანმი), ი. კამაჩო - პორტილიო (62. ბ. ანდერსონი), სამუ, დუდა - სანტა კრუსი

**გაფრთხილება:** პედრო ლოპესი, ბარალი, კარაბელასი, პედრო რიოსი - ფლავიო, ტისონე, ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, სამუ

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 24-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-22 (5-6); **ბურთის ფლობა:** 32%-68%

**მაყურებელი:** 11 278

### 13 იანვარი

ვილიარეალი-სოსიედადი 01:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 19 | 16 | 2 | 1 | 53-12 | 50 |
| 2. ატლეტიკო | 19 | 16 | 2 | 1 | 47-11 | 50 |
| 3. რეალი | 19 | 15 | 2 | 2 | 53-21 | 47 |
| 4. ბილბაო | 19 | 11 | 3 | 5 | 32-24 | 36 |
| 5. სოსიედადი | 18 | 9 | 5 | 4 | 35-23 | 32 |
| 6. ვილიარეალი | 18 | 9 | 4 | 5 | 32-20 | 31 |
| 7. სევილია | 19 | 8 | 6 | 5 | 36-30 | 30 |
| 8. ვალენსია | 19 | 7 | 2 | 10 | 26-31 | 23 |
| 9. გრანადა | 19 | 7 | 2 | 10 | 19-25 | 23 |
| 10. ლევანტე | 19 | 6 | 5 | 8 | 18-27 | 23 |
| 11. ხეტაფე | 19 | 7 | 2 | 10 | 20-31 | 23 |
| 12. ესპანიოლი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-25 | 22 |
| 13. ოსასუნა | 19 | 6 | 3 | 10 | 17-29 | 21 |
| 14. მალაგა | 19 | 5 | 5 | 9 | 19-24 | 20 |
| 15. სელტა | 19 | 5 | 4 | 10 | 23-31 | 19 |
| 16. ალმერია | 19 | 5 | 4 | 10 | 21-38 | 19 |
| 17. ელჩე | 19 | 4 | 6 | 9 | 17-28 | 18 |
| 18. ვალიადოლიდი | 19 | 3 | 7 | 9 | 21-33 | 16 |
| 19. ვალეკანო | 19 | 5 | 1 | 13 | 19-45 | 16 |
| 20. ბეტისი | 19 | 2 | 5 | 12 | 16-38 | 11 |

**ბომბარდირები:** 20 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 12 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)

### მომდევნო ტური

17 იანვარი: მალაგა-ვალენსია

18 იანვარი: ბეტისი-რეალი, ელჩე-რაიო ვალეკანო, გრანადა-ოსასუნა, ესპანიოლი-სელტა

19 იანვარი: ხეტაფე-სოსიედადი, ვილიარეალი-ალმერია, ლევანტე-ბარსელონა, ატლეტიკო-სევილია

20 იანვარი: ბილბაო-ვალიადოლიდი

### სეგუნდა დივიზიონი. XXI ტური

**ალავესი-ხაენი 1:2**

**გოლები:** 1:0 იონ ველესი (66), 1:1 მეხია (67), 1:2 ფრან მაჩადო (89)

**გაძევება:** ლუსიანო (85. ალავესი)

**რეალი B-მურსია 2:2**

**გოლები:** 0:1 კიკე (21), 1:1 რაულ დე ტომასი (24), 2:1 ომარ მასკარელი (30-პენ), 2:2 აკიარი (47)

**გაძევება:** პედრო ალკალი (10. მურსია), ალექს მარტინესი (29. მურსია)

**მალიორკა-კორდობა 2:2**

**გოლები:** 0:1 ჩისკო ხიმენესი (14), 0:2 პედრო (54), 1:2 ხერარდი (60), 2:2 ხერარდი (81)

**გაძევება:** ლუსო (89. კორდობა)

**ეიბარი-ნუმანსია 1:2**

**გოლები:** 0:1 ხ. ალვარესი (45-პენ), 0:2 სერხი ენრიჩი (48), 1:2 ჟოაო პელეტეირო (60)

**უელვა-საბადელი 1:2**

**გოლები:** 1:0 ანხელ მონტორო (15), 1:1 კიკო (73), 1:2 სანაბე (84)

**გაძევება:** ანხელ მონტორო (44. უელვა)

**ბარსელონა B-ერკულესი 5:0**

**გოლები:** 1:0 პლანასი (17), 2:0 დენის სუარესი (42), 3:0 ადამა ტრაორე (48), 4:0 დონგუ (59), 5:0 დენის სუარესი (82)

**სარაგოსა-ალკორკონი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბარკერო (13), 2:0 როხერ მარტი (27), 3:0 ლუის გარსია (56-პენ), 3:1 დანი პაჩეკო (79)

**გაძევება:** ბაბენი (54. ალკორკონი)

**ტენერიფე-სპორტინგი 0:0**

**გაძევება:** ბრუნო გონსალესი (80. ტენერიფე)

**დეპორტივო-ჟირონა 0:0**

**პონფერადინა-ლას პალმასი 0:0**

**მირანდესი-ლუგო 2:0**

**გოლები:** 1:0 ირიომე (49), 2:0 ჩომინ ნაგორე (70-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 21 | 10 | 6 | 5 | 22-14 | 36 |
| 2. სპორტინგი | 21 | 8 | 9 | 4 | 35-28 | 33 |
| 3. ეიბარი | 21 | 9 | 5 | 7 | 26-20 | 32 |
| 4. სარაგოსა | 21 | 9 | 5 | 7 | 29-25 | 32 |
| 5. უელვა | 21 | 9 | 5 | 7 | 36-33 | 32 |
| 6. ნუმანსია | 21 | 7 | 10 | 4 | 26-22 | 31 |
| 7. ლას პალმასი | 21 | 8 | 7 | 6 | 23-22 | 31 |
| 8. კორდობა | 21 | 8 | 6 | 7 | 26-24 | 30 |
| 9. საბადელი | 21 | 9 | 3 | 9 | 27-27 | 30 |
| 10. მალიორკა | 21 | 8 | 6 | 7 | 27-33 | 30 |
| 11. მურსია | 21 | 6 | 10 | 5 | 29-26 | 28 |
| 12. პონფერადინა | 21 | 7 | 7 | 7 | 26-23 | 28 |
| 13. ხაენი | 21 | 8 | 4 | 9 | 27-27 | 28 |
| 14. ლუგო | 21 | 7 | 6 | 8 | 23-24 | 27 |
| 15. ბარსელონა B | 21 | 8 | 3 | 10 | 28-30 | 27 |
| 16. ტენერიფე | 21 | 7 | 6 | 8 | 20-22 | 27 |
| 17. ერკულესი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-33 | 27 |
| 18. მირანდესი | 21 | 7 | 5 | 9 | 22-25 | 26 |
| 19. ალკორკონი | 21 | 6 | 7 | 8 | 18-19 | 25 |
| 20. ჟირონა | 21 | 5 | 8 | 8 | 23-28 | 23 |
| 21. ალავესი | 21 | 5 | 7 | 9 | 31-33 | 22 |
| 22. რეალი B | 21 | 6 | 3 | 12 | 20-31 | 21 |

**ბომბარდირები:** 15 - სტეფან შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 13 - ვიგერა (ალავესი); 12 - კიკე (მურსია); 10 - ხონათან მეხია (ხაენი)

## პორტუგალია

### პრიმეირა ლიგა. XV ტური

**ბრაგა-გიმარაეში 3:0**

**გოლები:** 1:0 ფ. პარდო (31), 2:0 რუსესკუ (66), 3:0 რუსესკუ (72)

**რიო ავე-მარიტიმო 1:1**

**გოლები:** 0:1 ელდონი (87), 1:1 ჟოეანო (89)

**გაძევება:** ტარანტინი (90. რიო ავე)

**ეშტორილი-სპორტინგი 0:0**

**სპორტინგი (4-3-3):** რუი პატრისიო - ი. პირისი, მაურისიო, როხო, სედრიკი - ადრიენ სილვა, ანდრე მარტინში (87. კარლოს მანე), ვილიამი - ფ. მონტერო, ა. კარილიო (66. სლიმანი), ვილსონ ედუარდო (66. დიეგო კაპელი)

**არუკა-ბელენენსეში 2:0**

**გოლები:** 1:0 ლასადი (42), 2:0 ბრუნო ამარო (61)

**აკადემიკა-პ. ფერეირა 4:2**

**გოლები:** 1:0 მაგიკე (11), 1:1 მანუელ ჟოზე (22-პენ), 1:2 ბებე (32), 2:2 ჟოაო რეალი (45), 3:2 კლეიტონი (47), 4:2 ივანილდო (75)

**გაძევება:** ფილიპე ანუნსიაკაო (88. პ. ფერეირა)

**ოლიანენსე-სეტუბალი 2:1**

**გოლები:** 0:1 რ. კარდოსო (9), 1:1 მეპმეტი (38), 2:1 დიონისი (67)

**ბენფიკა-პორტუ 2:0**

**გოლები:** 1:0 როდრიგო (13), 2:0 გარაი (53)

**ბენფიკა (4-3-3):** ობლაკი - მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი (83. ჟარდელი), სიკეირა - მატიჩი, ე. პერესი, გაიტანი - ლიმა, როდრიგო (86. რუბენ ამორიმი), ო. კარდოსო

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - დანილო, ოტამენდი, მანგალა, ალექს სანდრო - ფერნანდო, ლუჩო გონსალესი (70. ჟოსუე), კარლოს ედუარდო - ლიკა (55. კვარეშმა), ვარელა, ჯ. მარტინესი

**გაფრთხილება:** მატიჩი, ე. პერესი - დანილო, კვარეშმა, ჯ. მარტინესი, ლუჩო გონსალესი, ფერნანდო

**გაძევება:** დანილო (75. პორტუ)

**ნასიონალი-ჟილ ვისენტე 2:0**

**გოლები:** 1:0 მარშალი (36), 2:0 დიეგო (62)

***შენიშვნა:*** ***ავთო ეგრალიძე*** *(ჟილ ვისენტე) 58-ე წუთიდან ითამაშა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 15 | 11 | 3 | 1 | 29-12 | 36 |
| 2. სპორტინგი | 15 | 10 | 4 | 1 | 33-9 | 34 |
| 3. პორტუ | 15 | 10 | 3 | 2 | 29-11 | 33 |
| 4. ეშტორილი | 15 | 7 | 4 | 4 | 23-16 | 25 |
| 5. ნასიონალი | 15 | 6 | 6 | 3 | 21-15 | 24 |
| 6. გიმარაეში | 15 | 7 | 2 | 6 | 16-13 | 23 |
| 7. ბრაგა | 15 | 7 | 1 | 7 | 20-17 | 22 |
| 8. რიო ავე | 15 | 5 | 3 | 7 | 12-16 | 18 |
| 9. ჟილ ვისენტე | 15 | 5 | 3 | 7 | 13-20 | 18 |
| 10. აკადემიკა | 15 | 5 | 3 | 7 | 11-20 | 18 |
| 11. მარიტიმო | 15 | 4 | 5 | 6 | 24-28 | 17 |
| 12. სეტუბალი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-25 | 16 |
| 13. არუკა | 15 | 4 | 3 | 8 | 13-19 | 15 |
| 14. ბელენენსეში | 15 | 2 | 6 | 7 | 9-18 | 12 |
| 15. ოლიანენსე | 15 | 3 | 3 | 9 | 10-24 | 12 |
| 16. პ. ფერეირა | 15 | 2 | 3 | 10 | 12-29 | 9 |

**ბომბარდირები:** 13 - ფრედი მონტერო (სპორტინგი); 12 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 9 - ელდონი (მარიტიმო); 8 - დერლეი (მარიტიმო).

ტოპ 5. სტატისტიკა-2013

# 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელები

**2014 წელს ევროპის ტოპ 5 ლიგაში (პრემიერლიგა, ლა ლიგა, ბუნდესლიგა, სერია A და ლიგა 1) ჩემპიონატები ახლა ხურდება. მართლაც კარგი დროა სტატისტიკურად შევაჯამოთ 2013 წელი ამ ლიგებისთვის.**

## ყველაზე მეტი გოლი

მოგეხსენებათ, საფეხბურთო სეზონი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, ამიტომაც ჩვენ ვაჯამებთ გასული სეზონის მეორე ნახევრისა და ახლანდელი სეზონის პირველი ნახევრის შედეგებს ანუ 2013 წელს გამართულ თამაშებს ევროპის ხუთ მოწინავე ლიგაში.

**კრიშტიანო რონალდოს** დაუვიწყარი წელიწადი ჰქონდა, მან უახლოეს მდევარზე 9 გოლით მეტი გაიტანა, სულ კი 38 გოლი დაუგროვდა. გაგიკვირდებათ და, მისი უახლოესი მდევარი არა **ლეო მესი**, არამედ **ლუის სუარესია**. "ლივერპულის" ურუგვაელმა ფორვარდმა 29 გოლი გაიტანა, ერთით მეტი, ვიდრე "ბარსას" არგენტინელმა სენსაციამ. უნდა აღინიშნოს, რომ ორივეს ბევრი გაუცდა - სუარესს ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის, მესის ორი სერიოზული ტრავმის გამო.



კრიშტიანო რონალდომ 2013 წელს ლა ლიგაში 38 გოლი გაიტანა

28 გოლი გაიტანა კიდევ ერთმა ურუგვაელმა, **ედინსონ კავანიმ** (პსჟ), რომელმაც თანაკლუბელ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ერთი გოლით გაუსწრო. იბრასავით 27 გოლი ბრაზილიელ-ესპანელი **დიეგო კოშტას** ანგარიშზეა, რომელმაც აქედან 19 გოლი ამ სეზონში გაიტანა.

## ყველაზე მეტი საგოლე პასი

საგოლე პასებში 2013 წელს ვერავინ შეედრებოდა **მესუთ იოზილს**, რომელიც ახლახან გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მესუთმა წელიწადი მადრიდის "რეალში" დაიწყო და ლონდონის "არსენალში" დაასრულა. გერმანელის ანგარიშზე სულ 17 საგოლე გადაცემაა (10 "რეალში", 7 "არსენალში").

მეორე ადგილზე **ფრანკ რიბერია** 14 საგოლე პასით, შემდეგ 13-13 პასით მოდიან **ივან რაკიტიჩი** (სევილია) და **კოკე** (ატლეტიკო).

37 წლის **ფრანჩესკო ტოტიმ** დაამტკიცა, რომ ასაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როცა საქმე კლასთან გვაქვს, "რომას" ფორვარდმა 12 საგოლე პასი გააკეთა, ამდენივე **უეინ რუნის** (მანჩესტერ იუნაიტედი) ანგარიშზეა.

## ყველაზე მეტი დარტყმა კარში

აბა ვის გაუკვირდება, რომ ამ ნომინაციაშიც რონალდომ გაიმარჯვა, პორტუგალიელი ხომ ყველა ხელსაყრელი მომენტიდან ცდილობს გოლის "გამოდნობას". ის მატჩში საშუალოდ 7,1-ჯერ ურტყამდა ეს კი წლის განმავლობაში 234 დარტყმაა. შეგახსენებთ, რომ აქედან 38-მა მიზანს მიაღწია.

მეორე ადგილზე კიდევ ერთი "ეგოისტი" ფორვარდია - **მარიო ბალოტელი**. იტალიელი საშუალოდ 5,8-ჯერ ურტყამდა მეტოქეთა კარში (სულ 18 გოლი გაიტანა), მესამეა სუარესი - 5,5 დარტყმა შეხვედრაში. მესის და **გარეთ ბეილს** იდენტური მაჩვენებლები ჰქონდათ - 4,9 დარტყმა თამაშში, მათ 2013 წელს 26-26 შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, თუმცა ლეომ უელსელზე 9 გოლით მეტი გაიტანა.

## პასები, პასები...

ყველა კარგი პასის მერე გოლი არ გადის და ეს სულაც არ არის პასის მიმცემის ბრალი, თუმცა "ოპტა სტატისტიკსი" ასეთი პასების ათვლასაც აწარმოებს. ფეხბურთელი, რომელიც 2013 წელს ყველაზე მეტ საგოლე სიტუაციას ქმნიდა"მანჩესტერ სიტის" ესპანელი ნახევარმცველი **დავიდ სილვაა** - ის საშუალოდ 3,7 მნიშვნელოვან პასს აკეთებდა თამაშში. სილვამ აჯობა "მარსელის" ლიდერ **მატიო ვალბუენას** (3,3) და ფრანჩესკო ტოტის (3,2). საგოლე პასებში ლიდერი მესუთ იოზილი კი მეოთხეა - 3,1 მნიშვნელოვანი პასი თამაშში.

## დრიბლინგის ოსტატები

ფრანკ რიბერი უნაკლო იყო - 2013 წელს ის საშუალოდ თამაშში 4,6 წარმატებულ დრიბლინგს ახორციელებდა. საოცარია, მაგრამ ფაქტია - წლის ოთხი საუკეთესო დრიბლიორიდან სამი ბუნდესლიგიდანაა: მეორეზე გავიდა **დიეგო** (ვოლფსბურგი, 4,5), მესამეზე - **ხუან კუადრადო** (ფიორენტინა, 4,2), მეოთხეზე - **იულიან დრაქსლერი** (შალკე, 4,1). ლიონელ მესი მხოლოდ მეხუთეა - 4, ისევე როგორც ტოტენჰემელი **ანდროს ტაუნსენდი**, რომლის დრიბლინგები თავის თავზე შარშან თბილისის "დინამომაც" იწვნია.

## სიზუსტის მეფეები

ჩაწოდებებში ყველას "ჩელსის" ბელგიელმა **კევინ დე ბრუინმა** აჯობა, რომელიც იჯარით "ვერდერში" თამაშობდა - 2,8 ზუსტი ჩაწოდება მეტოქის საჯარიმოში ერთ შეხვედრაში. შემდეგ მოდიან: რაკიტიჩი (2,7) და **რობერტ სნოდგრასი** (ნორვიჩი, 2,6).

ზუსტ პასებში აბა "ბარსას" **ჩავი ერნანდესს** ვინ შეედრება? ჩავი საშუალოდ 83,3 ზუსტ პასს აკეთებდა თამაშში. მისი უახლოესი მდევარი **ბასტიან შვაინშტაიგერი** ("ბაიერნი") იყო - 73,4. მესამე ადგილზე "პარი სენ-ჟერმენის" იტალიელი ნახევარმცველი **მარკო ვერატია** - 72,4.

## საუკეთესო მცველები

ფეხბურთი მხოლოდ შეტევა არ არის, კარგი მცველები სპორტის ამ სახეობაში არანაკლებ ფასობენ. მაშ ვინ იყვნენ საუკეთესო მცველები 2013 წელს? ყველაზე მეტჯერ ორთაბრძოლას იგებდა ახლა უკვე ბუნდესლიგიდან გავარდნილი "ფორტუნას" მცველი **ლეონ ბალოგუნი** - 5 მოგებული ორთაბრძოლა თამაშში. მეორე ადგილზეა "სასუოლოს" ახალგაზრდა ცენტრალური მცველი **ლუკა ანტეი** - 4,9 მოგებული ორთაბრძოლა თამაშში, დაიმახსოვრეთ ეს სახელი! მესამე ადგილზე გავიდა "ლივერპულის" ბრაზილიელი ლეგიონერი **ლუკას ლეივა** (4,8), რომელსაც ასე კარგად ეხერხება მეტოქის შეტევების ჩაშლა.

"მალიორკას" ბრაზილიელმა მცველმა **ჟერომელმა** საშუალოდ 4,9-ჯერ ჩაჭრა მეტოქეების პასები, მაგრამ მისი გუნდი ლა ლიგაში გავარდა, ჟერომელი ახლა "გრემიოში" თამაშობს. მეორე ადგილზე აქაც ლუკა ანტეია - 4,4 ჩაჭრა.

## სეივების ოსტატები

ჩვენს სტატისტიკურ მიმოხილვას კი მეკარეებით ვასრულებთ - 2013 წელს საშუალოდ ყველაზე მეტ "სეივს" "ვერონას" მეკარე **რაფაელი** აკეთებდა - 5-ს თამაშში. შემდეგ მოდის "ალმერიას" ვეტერანი გოლკიპერი **ესტებანი** - 4,9. მესამეზეა კარდიფელი **დევიდ მარშალი** (4,3).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. XX ტური

# გატეხილი ნავსი და დრამა

## პსჟ ისევ გაიქცა

"მონაკოს" შანსი ჰქონდა თუნდაც ერთი დღით ქულებით გათანაბრებოდა "პარი სენ-ჟერმენს", მაგრამ "ვალანსიენთან" სენსაციური მარცხის მერე, **კლაუდიო რანიერის** ბიჭებს - ფეხი "მონპელიესთან" დაუცდათ. მონპელიელთა ბანაკში საზეიმო განწყობა იყო, რადგან **რემი კაბელიამ** დაადასტურა, რომ სეზონის ბოლომდე დარჩება და გუნდს დაეხმარება, ხოლო **მბაიე ნიანგს** ამ კლუბის მაისურით ლიგა 1-ში დებიუტი უნდა ჰქონოდა. მეორე ნახევარი არც ისე დიდი ხნის დაწყებული იყო, როცა **ჯეიმს როდრიგესმა** ჯარიმა შეასრულა და მორიგი საგოლე გადაცემა მიითვალა. თუმცა "ლუი მეორეს" ბინადრებმა დიდი ხნით ვერ გაიხარეს - შეცვლაზე შესულმა **სულეიმან კამარამ** კაბელიას უპასა, რომელმაც **ერიკ აბიდალს** ჩაუქროლა და პენალტი "აიკიდა". თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ნიანგი გაჩნდა და მართალია 19 წლის თავდამსხმელს პირველი დარტყმა **ჟოფრუა ჟურდრენმა** აუღო, მაგრამ მან დამატებაზე გაიტანა. "მონაკოს" მოგება შეეძლო, თუნდაც პირველ წრეში "მონპელიეს" კარში ჰეთთრიქის შემსრულებელი **ემანუელ რივიერის** შანსი შეგვიძლია ვახსენოთ, მაგრამ ჟურდრენი იმ დღეს მეტის გაშვებას აღარ აპირებდა.

პსჟ-ს კორსიკაზე იმ გუნდთან ელოდა მატჩი, რომელსაც პირველ წრეში საკუთარ კედლებში არანორმალური უპირატესობის და მეტოქის კარში 38-ჯერ დარტყმის მიუხედავად სასწაულებრივ ვერ მოუგო და საერთოდ, ამ გუნდების ბოლო სამი შეხვედრა ფრედ იყო დასრულებული. სხვათა შორის, დედაქალაქელებს ამჯერადაც ნერვების წყვეტა მოუხდათ. "აიაჩო" სტარტზევე დაწინაურდა, გოლი **ედუარდომ** გაიტანა და მალევე ბრაზილიელმა მეორე კინაღამ კაპიტან **იოან კავალის** გაატანინა.

ანგარიში ტაიმის მიწურულს **ეზეკიელ ლავეციმ** გაათანაბრა, ხოლო **ბლეზ მატუიდიმ** საბოლოოდ ნაწვალები 3 ქულა მოუტანა გუნდს. **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** თავად არ გაუტანია, მაგრამ ორივე შემთხვევაში ასისტენტად მოგვევლინა და ჯარიმიდან ხარიხას გაარტყა. ამრიგად, პარიზელებმა ხუთი ქულით გაზარდეს ტურამდე უახლოეს მდევარ "მონაკოსთან" სხვაობა.

## წითელი ბარათები და გამოუყენებელი პენალტები

2001/2002 წლების სეზონის მერე, "ლორიანის" მაისურით 19 ტურის შემდეგ 10 ან მეტი გოლი არავის გაეტანა. მაშინ ეს **ჟან-კლოდ დარშევილმა** შეძლო, რომლის ანგარიშზეც 13 ბურთი გახლდათ, ახლა კი 11 გოლით იწონებდა თავს **ვენსან აბუბაქარი**, ხოლო ბრეტონელები 7-მატჩიანი წაუგებელი სერიით ჩავიდნენ "ნანტში", მაგრამ... ვერც აბუბაქარმა გაიტანა და "ლორიანსაც" არ გაუმართლა - 89-ე წუთზე **ისმაელ ბანგურამ** "იადონებს" ძალიან მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა. **კრისტიან გურკუფის** გუნდის კარგი სერია კი უკან დარჩა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან საინტერესო გამოდგა "შაბან დელმაზე" გამართული შეხვედრა, რომელშიც "ბორდო" "ტულუზთან" დამარცხდა. **ალენ კაზანოვამ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სრულიად არაპროგნოზირებადი გუნდი ჰყავს. მოკლედ, გარონის დერბიმ მოლოდინი გაამართლა. არადა, ჟირონდელებისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა - სტუმრები **ეროშ სპაიჩის** გარეშე დარჩნენ, მაგრამ აქედან ათ წუთში **მაქსიმ ბუნდჟემ ვისამ ბენ იედერი** მოცელა და წითელი ბარათი და პენალტი ერთად "დაიმსახურა". თერთმეტმეტრიანი თავად ბენ იედერმა დაარტყა, მაგრამ მას **სედრიკ კარასომ** აუღო. ბენ იედერმა შეცდომა გარკვეულ წილად გამოასწორა როდესაც **ჟან-დანიელ აკპა-აკპროს** უპასა, ხოლო მან ტულუზელთა ოქროს შენაძენს **მარტინ ბრეტვეიტს** გაატანინა. "ბორდოს" შეეძლო თამაშის გადარჩენა, მაგრამ **გიიომ ოაროს** პასის მერე **ანდრე ბიოგო პოკომ** ძელს გაარტყა და საბოლოოდ, ჟირონდელებმა ხუთეულში ადგილი დაკარგეს.

თრილერი ვიხილეთ "ვალანსიენსა" და "ბასტიას" შორის. მასპინძელთა რიგებში **მატიე დოსევიმ** გაილაღა და დუბლი გააფორმა. მერე კი მოსკოვის "სპარტაკიდან" ნათხოვარმა **მაჯიდ ვარისმა არიელ იაკობსს** ნდობა გაუმართლა და შეცვლაზე შესულმა განელმა ანგარიში 3:0 გახადა. როგორც ჩანს, იაკობსის შეგირდები ზედმეტად მოდუნდნენ და გამოცდილმა **ილანმა** ჯერ **კრისტიან კოფი რომარიკს** გაატანინა, მერე კი თავად იხეირა, მაგრამ კორსიკელებმა მეტი ველარ მოასწრეს. აი "ვალანსიენი" კი უკვე მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება უსაფრთხო ზონას.



ბლეზ მატუიდის გოლს ულოცავენ

სამაგიეროდ, გვარიანად ჩამორჩა "სოშო". მონბელიარელებს "ჟერლანზე" "მარსელიდან" ნათხოვარმა **ჯორდან აიუმ** ვერ უშველა. სტუმრებმა 57-ე წუთამდე გაძლეს, მაგრამ "ლიონი" აშკარად ჯაბნიდა მეტოქეს და ბოლო ბოლო ნავსის გატეხაც შეძლო.

უგოლოდ დასრულდა "რენი"-"ნიცა", მაგრამ სინამდვილეში მატჩი საკმაოდ საინტერესო იყო. მარტო იმის ხსენება რად ღირს, რომ 29-ე წუთზე პენალტი მასპინძელთა შემტევმა **ფუედ კადირმა** ვერ გამოიყენა, ხოლო 54-ეზე სტუმართა მეგოლემ **დარიო ცვიტანიჩმა**.

ასევე 0:0 დაფიქსირდა "გენგამსა" და "სენტ ეტიენს" შორის. "მწვანეებმა" ვერ მოიგეს, მაგრამ მე-4 ადგილს ინარჩუნებენ. **კრისტოფ გალტიეს** გუნდს მიუახლოვდა "მარსელი", რომელმაც გასვლაზე სძლია "ევიანს", არადა აქამდე "ველოდრომის" ბინადრებს ევიანელებთან სტუმრად სულ სამი შეხვედრა ჰქონდათ ჩატარებული და სამივე წაგებული. აღსანიშნავია, რომ "ევიანი" "მარსელიდან" მოყვანილი **მოდუ სუგუს** გოლით იგებდა, მაგრამ **ბენუა შეირუმ** გაათანაბრა, ხოლო გმირად **ჟოზე ანიგოს** გუნდს ისევ და ისევ **ანდრე-პიერ ჟინიაკი** მოევლინა. მინდორს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული **მატიო ვალბუენა**.

**გიორგი კაკაბაძე**

**მონპელიე-მონაკო 1:1**

**გოლები:** 0:1 კურზავა (52), 1:1 მბაიე ნიანგი (68)

**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - რაჯი, რ. კარვალიო, აბიდალი, კურზავა - ობადი (73. ფერეირა-კარასკო), მოუტინიო, ტულალანი - ჯ. როდრიგესი, რივიერი (82. ოკამპოსი), ფალკაო

**აიაჩო-პსჟ 1:2**

**გოლები:** 1:0 ედუარდო (6), 1:1 ლავეცი (41), 1:2 მატუიდი (74)

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი (72. პასტორე), ტიაგო სილვა, მაქსველი - რაბიო (82. მარკინიოსი), ტიაგო მოტა, მატუიდი - ლავეცი (72. ლუკასი), კავანი, იბრაჰიმოვიჩი

**ბორდო-ტულუზი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბრაიტვაიტი (53)

**გაძევება:** სპაიჩი (24. ტულუზი), ბუნდჟე (34. ბორდო)

**გენგამი-სტ. ეტიენი 0:0**

**ლიონი-სოშო 2:0**

**გოლები:** 1:0 გრენიე (57), 2:0 გურკუფი (75)

**ლიონი (4-3-3):** ენტონი ლოპეში - მიგელ ლოპეში, ბიშევაცი, უმტიტი, ბედიმო - ფოფანა, გონალონი, გრენიე - გურკუფი, ლაკასეტი (81. ბრიანი), გომისი

**რენი-ნიცა 0:0**

**ვალანსიენი-ბასტია 3:2**

**გოლები:** 1:0 დოსევი (33), 2:0 დოსევი (35), 3:0 ვარისი (54), 3:1 რომარიკი (71), 3:2 ილანი (83)

**ნანტი-ლორიანი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბანგურა (89)

**ევიანი-მარსელი 1:2**

**გოლები:** 1:0 სუგუ (15), 1:1 ბენუა შეირუ (22), 1:2 ჟინიაკი (39)

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - აბდალა, ნკულუ, დიავარა, მენდი - ლემინა (85. იმბულა), ბენუა შეირუ, რომაო - ხელიფა (63. პაიე), ტოვენი (72. ვალბუენა), ჟინიაკი

**ლილი-რეიმსი 1:2**

**გოლები:** 0:1 ფორტესი (73), 0:2 კრიხოვიაკი (76), 1:2 ვებერი (88 ს.კ.)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 20 | 14 | 5 | 1 | 46-14 | 47 |
| 2. მონაკო | 20 | 12 | 6 | 2 | 32-14 | 42 |
| 3. ლილი | 20 | 12 | 4 | 4 | 23-10 | 40 |
| 4. სტ. ეტიენი | 20 | 10 | 4 | 6 | 28-20 | 34 |
| 5. მარსელი | 20 | 9 | 5 | 6 | 29-21 | 32 |
| 6. ნანტი | 20 | 10 | 2 | 8 | 24-17 | 32 |
| 7. რეიმსი | 20 | 8 | 8 | 4 | 25-22 | 32 |
| 8. ბორდო | 20 | 8 | 7 | 5 | 27-22 | 31 |
| 9. ლიონი | 20 | 7 | 7 | 6 | 30-27 | 28 |
| 10. ტულუზი | 20 | 7 | 7 | 6 | 21-24 | 28 |
| 11. ლორიანი | 20 | 8 | 3 | 9 | 26-27 | 27 |
| 12. გენგამი | 20 | 6 | 7 | 7 | 19-19 | 25 |
| 13. ბასტია | 20 | 6 | 6 | 8 | 23-29 | 24 |
| 14. ნიცა | 20 | 7 | 3 | 10 | 18-25 | 24 |
| 15. რენი | 20 | 5 | 7 | 8 | 22-24 | 22 |
| 16. ევიანი | 20 | 5 | 5 | 10 | 20-34 | 20 |
| 17. მონპელიე | 20 | 2 | 12 | 6 | 19-25 | 18 |
| 18. ვალანსიენი | 20 | 4 | 5 | 11 | 20-30 | 17 |
| 19. სოშო | 20 | 2 | 5 | 13 | 15-41 | 11 |
| 20. აიაჩო | 20 | 1 | 6 | 13 | 14-36 | 9 |

**ბომბარდირები:** 15 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 12 - ედინსონ კავანი (პსჟ); 11 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 9 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), რადამელ ფალკაო (მონაკო).

**მომდევნო ტური**

17 იანვარი: **სტ.ეტიენი-ლილი**

18 იანვარი: **მარსელი-ვალანსიენი, ბასტია-ბორდო, ლორიანი-გენგამი, ნიცა-აიაჩო, რენი-ევიანი. სოშო-მონპელიე**

19 იანვარი: **რეიმსი-ლიონი, ტულუზი-მონაკო, პსჟ-ნანტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდის ბორუსია

# კლოპის ექსპერიმენტი: მხითარიანი საყრდენად

## რეალი და დორტმუნდი ფეხბურთელებს გაცვლიან?




იურგენ კლოპმა სტანდარდთან ტესტმატჩში ჰენრიხ მხითარიანი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გამოცადა და ექსპერიმენტით კმაყოფილი დარჩა

დორტმუნდის "ბორუსიამ" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადების ფარგლებში, ესპანურ ლა მანგაში პირველი ტესტმატჩი გამართა - **იურგენ კლოპის** გუნდმა **ილქაი გიუნდოგანისა** და **მატს ჰუმელსის** გარეშე, ლიეჟის "სტანდარდი" 2:0 დაამარცხა. 2500 მაყურებლის თვალწინ გოლები **პიერ-ემერიკ ობამეიანგმა** და **იონას ჰოფმანმა** გაიტანეს. "ბორუსიას" უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ მატჩის დასკვნით ფაზაში **რობერტ ლევანდოვსკიმ** (ძელი) და **მარკო როისმა** რეალური საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს.

როგორც ამხანაგურ შეხვედრას შეეფერება, კლოპი "სტანდარდთან" მატჩში ექსპერიმენტებს შეუდგა პირველიდან ბოლო წუთამდე მან მხოლოდ მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი** ათამაშა. **კევინ გროსკროიტცმა** კი მცირე ტრავმა მიიღო და ამიტომ შეცვალეს.

რაც შეეხება მთავარ ექსპერიმენტს - მეორე ტაიმში კლოპმა სომეხი გამთამაშებელი **ჰენრიხ მხითარიანი** მისთვის უჩვეულო, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშა. *"მას მერე, რაც მხითარიანი ჩვენთანაა, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ უფრო სიღრმიდან ეთამაშა და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გამომეცადა. დავრწმუნდი, რომ ეს საკმაოდ საინტერესო ვარიანტია,"* - აღნიშნა კლოპმა მატჩის შემდეგ.

იურგენის თქმით, შეკრებაზე "დორტმუნდის" უმთავრესი ამოცანები დაცვის ხაზის სტაბილურობა და შეტევაში მეტი მრავალფეროვნებაა. კლოპს აღარ უნდა, რომ "ბორუსიას" შეტევები ერთმანეთს ჰგავდეს: *"ბურთს შაჰინს აძლევენ და მერე ყველა ელოდება, რას მოიფიქრებს ნური. ასე გაგრძელება არ შეიძლება!"* - აცხადებს კლოპი.

*დორტმუნდი (I ტაიმი): ვაიდენფელერი - პიშჩეკი, მ. ფრიდრიხი, სოკრატისი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, ი. ჰოფმანი, ობამეიანგი - შიბერი.*

*(II ტაიმი): ლანგერაკი - პიშჩეკი (63. კირხი), გიუნტერი, ზარი, შმელცერი - კელი, მხითარიანი - ი. ჰოფმანი (63. როისი), დუკში, გროსკროიტცი (69. იორდანოვი) - ობამეიანგი (63. ლევანდოვსკი).*

### თავდამსხმელის ძებნა გრძელდება

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერდნენ, "დორტმუნდს" "სტანდარდის" თავდამსხმელი, 20 წლის **მიში ბაჩუაი** აინტერესებს და კლოპმა ბელგიურ კლუბთან მატჩი ამიტომაც დაგეგმაო, მაგრამ "ბილდის" ინფორმაციით, ეს ტრანსფერი არარეალურია, რადგან ბელგიელები თავიანთ ვარსკვლავს, რომელმაც 21 მატჩში 14 გოლი გაიტანა, ძვირად, 12 მილიონ ევროდ აფასებენ. კლოპს 20 წლის ფეხბურთელში ამდენის გადახდა არაფრისდიდებით არ სურს. "ბილდის" ცნობით, „ბაიერნისკენ" გეზაღებულ ლევანდოვსკის დორტმუნდში ან **ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი) შეცვლის, ან **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო), ანაც **ჯექსონ მარტინესი** (პორტუ).

### ბენზემა და შაჰინი გიუნდოგანის სანაცვლოდ?

„ბილდი" ინფორმაციით, შესაძლოა „დორტმუნდმა" და მადრიდის „რეალმა" დიდი გაცვლა გააკეთონ. ცნობილია, რომ მადრიდულ გრანდს "ბორუსიას" 23 წლის ნახევარმცველის, **ილქაი გიუნდოგანის** გადაბირება უნდა. თურმე "რეალმა" "ბორუსიას" უკვე მიმართა კონკრეტული წინადადებით. ილქაის "ბორუსიასთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული და თუ არ გააგრძელებს, ზაფხულში დორტმუნდელებს მისი გაყიდვით ფინანსური ხეირის ნახვის უკანასკნელი შანსი ექნებათ. ამიტომ "დორტმუნდი" და "რეალი" გაცვლას გეგმავენ: მადრიდელები დორტმუნდელებს **ქარიმ ბენზემასა** და **ნური შაჰინს** (ეს უკანასკნელი ახლა არენდით თამაშობს) დაუთმობენ, "ბორუსია" კი გიუნდოგანს მადრიდში გაუშვებს.

ცნობისათვის, "მირორის" ინფორმაციით, გიუნდოგანს "მანჩესტერ იუნაიტედმაც" დაუმიზნა. ინგლისური მედია იუწყება, რომ მანჩესტერელები დორტმუნდელებს გიუნდოგანში 29 მილიონ ევროს შესთავაზებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ბაიერნმა როდეც გაიფორმა!

## ზაფხულში ხუან მატაც გვარდიოლასთან?

**რობერტ ლევანდოვსკის** შემდეგ, მიუნხენის "ბაიერნმა" კიდევ ერთი გადაწყვეტილი ტრანსფერი დაადასტურა: ისევე, როგორც პოლონელს, რეკორდმაისტერი ზაფხულში ფრანკფურტის "აინტრახტის" 23 წლის საყრდენ ნახევარმცველ **სებასტიან როდესაც** წაიყვანს. ეს უკანასკნელი ფრანკფურტულ კლუბში ზედიზედ მეორე სეზონია, ძალიან კარგად თამაშობს და მიუნხენური გრანდის სკაუტები მას დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ. როდეს "აინტრახტთან" კონტრაქტი ამ სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ "ბაიერნში" უფასოდ გადავა.



სებასტიან როდე

ბრიტანული "დეილი მირორის" ცნობით, მიუნხენის "ბაიერნის" თავკაც **ხოსეპ გვარდიოლას** ლონდონის "ჩელსიდან" **ხუან მატას** გადაბირება უნდა და ბავარიულ გრანდში გადაბარგების პერსპექტივა თავად ფეხბურთელსაც აღაფრთოვანებს. 25 წლის მატა "ჩელსიში" ხშირად სათადარიგოთა სკამს ხეხავს, რის გამოც ეშინია, რომ ესპანეთის ნაკრებშიც დაკარგავს ადგილს. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, მატას გული სწორედ გვარდიოლასკენ და "ბაიერნისკენ" მიუწევს.

**გოტფრიდ ლენცი**

გლადბახი

# დე იონგი: მწვრთნელი აღარ მელაპარაკება!

## ჰოლანდიელს მიონხენგლადბახიდან გაქცევა უნდა




ლუუკ დე იონგი ლუსიენ ფავრს გაურბის

მიონხენგლადბახის "ბორუსიამ" ბუნდესლიგის პირველი წრე შესანიშნავად ჩაატარა და მესამე ადგილზეა, მაგრამ **ლუსიენ ფავრის** გუნდში ყველა როდია ბედნიერი. 23 წლის ჰოლანდიელ თავდამსხმელ **ლუუკ დე იონგს**, რომლის სანაცვლოდაც მიონხენგლადბახელებმა თავის დროზე 12 მილიონი ევრო გადაიხადეს, ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშია, რის გამოც ძალიან გაბრაზებულია და სასწრაფოდ კლუბის გამოცვლა უნდა. როგორც ირკვევა, "გლადბახის" თავკაც ლუსიენ ფავრს დე იონგი აღარ სჭირდება.

*"სამწუხაროდ, მწვრთნელი ისე იქცევა, რომ ვხვდები, საჭირო აღარ ვარ. ლუსიენ ფავრი არც კი მელარაკება! ეს ჩემს კარიერაში ყველაზე საშინელი პირველი წრე იყო,* - აცხადებს დე იონგი და იქვე დასძენს, - *განსაკუთრებით "ვოლფსბურგთან" მატჩში მომხდარმა ფაქტმა გამაბრაზა: ფავრმა მოედანზე საფინალო სასტვენამდე 11 წამით ადრე შემიშვა. ეს უკვე სასაცილოც აღარ არის!"*

ჰოლანდიელი დარწმუნებულია, რომ ფავრი არც მეორე წრეში შეცვლის რამეს და "გლადბახის" დატოვება მყარად აქვს გადაწყვეტილი. ცნობილია, რომ მისი გადაბირება "ნიუკასლს" უნდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### იუვე აინტრახტის ტალანტს უმიზნებს

ფრანკფურტის "აინტრახტის" სპორტულმა დირექტორმა **ბრუნო ჰიუბნერმა** დაადასტურა, რომ ტურინის "იუვენტუსს" ფრანკფურტელთა 18 წლის ცენტრალური მცველის, **მარკ-ოლივერ კემპფის** გადაბირება უნდა. როგორც ირკვევა, "იუვენტუსი" დაინტერესებულია, რომ კემპფი ახლავე აიყვანოს არენდით, რაშიც 500 000 ევროს გადაიხდის და მიიღოს ახალგაზრდა ფეხბურთელის შესყიდვის უპირატესი უფლება. თუ კემპფი ტურინელთა თავკაც **ანტონიო კონტეს** თავს მოაწონებს, ზაფხულში "იუვენტუსი" "აინტრახტს" 4.5 მილიონ ევროს გადაუხდის. როგორც ირკვევა, ფრანკფურტელები გარიგების წინააღმდეგნი არ არიან, რადგან კემპფი "აინტრახტში" იშვიათად თამაშობს - ამ სეზონში, ბუნდესლიგის მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა.

### რუდნევსი ჰანოვერისთვის შეუტევს

"ჰამბურგმა" 25 წლის თავდამსხმელი **არტიომ რუდნევსი** სეზონის ბოლომდე "ჰანოვერში" გაანათხოვრა. ლატვიელი ფორვარდი ქვემოსაქსონიურ კლუბს თურქულ შეკრებაზე შეუერთდა. აღსანიშნავია, რომ "ჰანოვერს" ზაფხულში რუდნევსის კონტრაქტის სრულფასოვნად გამოსყიდვა შეუძლია. შეგახსენებთ, რომ რუდნევსი "ჰამბურგში" "ლეხიდან" 2012 წელს გადავიდა და მაშინ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაიხადა. პირველ სეზონში რუდნევსმა 12 გოლი გაიტანა, რაც საკმაოდ კარგი შედეგი იყო, მიმდინარე სეზონში კი მეორეხარისხოვანი ფეხბურთელი გახდა - მას არც **ტორსტენ ფინკი** ენდობოდა და არც მისი შემცვლელი, **ბერტ ვან მარვეიკი**. ამ სეზონში "ჰამბურგის" საუკეთესო გოლეადორი **პიერ-მიშელ ლასოგაა**, რომელსაც პირველი წრის შემდეგ 9 გოლი აქვს გატანილი. "ბილდის" ცნობით, "ჰანოვერმა" რუდნევსის არენდაში 500 000 ევრო გადაიხადა, ყიდვა კი 2 მილიონი დაუჯდება.



არტიომ რუდნევსი

### როლფესს მუნდიალზე წასვლის იმედი აქვს

"ლევერკუზენის" 31 წლის საყრდენ ნახევარმცველ **სიმონ როლფესს** ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მას მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს. *"მუნდიალი დღეს რომ იწყებოდეს, ცხადია, განაცხადში ვერ მოვხვდებოდი, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება ზაფხულამდე და როგორ შეიძლება შეიცვალოს ბუნდესმწვრთნელის ტაქტიკური გეგმები. ვფიქრობ, რომ შანსი მცირეა, მაგრამ მაინც არსებობს. ბრაზილიაში წასვლა ძალიან მინდა!"* - უთხრა როლფესმა გაზეთ "რაინიშე პოსტს".

**გოტფრიდ ლენცი**



პეპე მელი

### პეპე მელი ბრომვიჩში

"ვესტ ბრომვიჩმა" **სტივ კლარკის** მემკვიდრის ვინაობა დაასახელა. პრემიერლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერის მთავარი მწვრთნელის პოსტი დეკემბრის დასაწყისში "ბეტისიდან" ცუდი შედეგების გამო დათხოვნილ 50 წლის ესპანელ **პეპე მელს** ჩააბარეს. მხარეთა შორის კონტრაქტი 18 თვით გაფორმდა. სპეციალისტს აქამდე ესპანეთის ფარგლებს გარეთ მუშაობის პრაქტიკა არ ჰქონია.

### სად წავა ლესკოტი?

"ვესტ ჰემის" სერიოზული საკადრო პრობლემების შესახებ გულშემატკივარს მოეხსენება. განსაკუთრებულად მძიმე სურათია დაცვის ცენტრში, სადაც **სემ ელერდაისი** იძულებული გახდა იანვრის პირველ რიცხვებში ლიგა ერთის "შეფილდ იუნაიტედიდან" 30 წლის **როჯერ ჯონსონი** აეყვანა იჯარით. დიდი შანსია, "აპტონ პარკზე" განაგრძოს კარიერა **ჯოლეონ ლესკოტმაც**, ვინც "სიტის" ძირითადში ადგილი წელიწადნახევარზე მეტია, რაც დაკარგა. "ჩაქუჩები" 31 წლის მოთამაშეს 3.5-წლიან კონტრაქტსა და კვირაში 90 ათასი ფუნტს ჰპირდებიან. ფეხბურთელს შეთავაზებები აქვს ასევე "ტოტენჰემისა" და "ნიუკასლისგან".




ჯოლეონ ლესკოტი



ეიდენ მაკგიდი

### მარტინესმა ოცნება აისრულა

**რობერტო მარტინესს** მოსკოვის "სპარტაკიდან" **ეიდენ მაკგიდის** ყიდვა ჯერ კიდევ "უიგანში" მუშაობისას უნდოდა, მაგრამ ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელის ტრანსფერზე პრემიერლიგის აუტსაიდერებმა მაშინ უარი მიიღეს. მოსკოველები ამჯერად უკვე 2 მილიონ ევროს დათანხმდნენ, რადგან 27 წლის მარჯვენა ნახევარმცველს ივნისში კონტრაქტი უმთავრდებოდა. 2010 წელს "სელტიკიდან" მისი ყიდვა "სპარტაკს" 12 მილიონი დაუჯდა.

### ბერკლის დასვენება მოუწევს

"ევერტონის" 20 წლის ნახევარმცველ **როს ბერკლის** ნატკენი ფეხის გამო შესაძლოა, თვეზე მეტი გაუცდეს. ტრავმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა "ქუინზ პარკთან" ასოციაციის შეხვედრაში მიიღო. გეტყვით, რომ საბოლოო დიაგნოზი ჯერ ცნობილი არ არის. "ევერტონის" ექიმის თქმით, ბერკლის დაზიანება ძალიან ჰგავს **ლეიტონ ბეინსისას**. გუნდის კაპიტანმა კი ზუსტად ერთი თვე

ინგლისი. პრემიერლიგა. XXI ტური

# სიტი პირველზე

## ისმის კითხვა: როდემდე?

**გუს პოიეტის** გუნდმა "ქრევეინ კოტეჯზე" მეტოქეს I წრეში წაგებისთვის (0:1) სამაგიერო გადაუხადა. მართალია, "შავ კატებს" გასავარდნი ზონა ჯერ არ დაუტოვებიათ, მაგრამ პრემიერლიგაში დარჩენის უკეთესი შანსი ნამდვილად აქვთ. "ფულჰემი" უდისციპლინობამ დაღუპა. მასპინძელთა უკანახაზელების ორ ჯარიმას მათ კარებში ამდენივე გოლი მოჰყვა. **ადამ ჯონსონმა** ჯერ "ცხრიანში" დაუმიზნა, მერე **სუნ უინკის** დაუგორა და კორეელს ახლო მანძილიდან სეზონში მეორე გოლი გაატანინა. თავის მხრივ "ფულჰემმაც" სტანდარტულით ისარგებლა - **სიდუელმა** კუთხურის შემდეგ ანგარიში 1:2 გახადა. ამის მერე ჯონსონმა კონტრშეტევაზე ორჯერ ივარგა, ჯერ მეკარეს დაურტყა შორეულ კუთხეში, მერე კი **ალტიდორის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

### ახალი მწვრთნელი არ კმარა

**ოლე გუნარ სულშერს** ინგლისური დებიუტი არ გამოუვიდა. თამაშამდე წერდნენ, რომ "კარდიფთან" წაგების შემთხვევაში "ვესტ ჰემის" დამრიგებელი **სემ ელერდაისი** უმუშევარი დარჩებოდა. "დიდმა სემმა" პოსტი კიდევ ერთხელ შეინარჩუნა.

სტუმრებმა პირველი მომენტი დებიუტშივე შექმნეს, როცა **დაუნინგის** ჩაწოდება შორეულ ძელს მოხვდა, **ტომკინსმა** კი ახლო მანძილიდან დაამატა, მაგრამ **ადრიანს** მაინც ვერ აჯობა. "კარდიფმა" შეძლო თამაშის გათანაბრება. მომენტი ჰქონდა **კიმს** - მისი შორეული დარტყმა ხარიხას მოხვდა, კემპბელისა და მეკარის ორთაბრძოლაში კი დამნაშავე თავდამსხმელი აღმოჩნდა და გოლი არ ჩაითვალა. ანგარიში ეფექტური გოლით გაიხსნა: **ტეილორმა, ჯარვისმა** და **კარლტონ კოულმა** სამსვლიანი კომბინაციით მასპინძელი პირშიჩალაგამოვლებული დატოვეს. მატჩის მიწურულს შეცვლაზე შესული კეროლის პასით **ნოუბლმა** სტუმართა გუნდს გამარჯვება დაუბევა.

### 16-თვიანი პაუზის შემდეგ

**სტივ ბრუსის** "ჰალმა" მეტოქეს დებიუტშივე უჩვენა საკუთარი პოტენციალი, როცა ორჯერ აანერვიულა **პეტრ ჩეხი. ლივერმორმა** შორიდან სცადა, **ტერის** შეცდომის შემდეგ კი **საგბოს** შექმნა მომენტი, თუმცა უკანასკნელმა კარს მცირედით ააცილა. "ჩელსის" პირველ ტაიმში ორჯერ შეეძლო გატანა. **მაკგრეგორმა ოსკარს** ახლოდან დარტყმული საოცარ ნახტომში აუღო. გოლკიპერს მერეც მოუხდა ოსტატობის დემონსტრირება, როცა საჯარიმოდან **ლუისს** უცნაური ტრაექტორიით დარტყმული აუღო.

ანგარიში **აზარმა** გახსნა. ბელგიელი მეტოქის რამდენიმე მცველს ინდივიდუალურად გაუსწორდა და საჯარიმოს გარედან დაბალ კუთხეში დაარტყა. პირადი შემოქმედება გახლდათ **ტორესის** ბურთიც. ესპანელმა კონტრშეტევაზე მცველები არ გაიკარა, შეიჭრა საჯარიმოში და მეკარისგან ახლო, დაბალ კუთხეში დასცხო. "ელ ნინიომ" ზედიზედ მეორე ტურში გაიტანა, რაც მას 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ არ გაუკეთებია.

### ერთი კვირის თავზე

5 იანვარს ასოციაციის თასზე მარცხისთვის "იუნაიტედმა" რევანში აიღო. "ეშმაკებმა" მოწინააღმდეგის კართან მთელი რიგი მომენტები შექმნეს. მათ 5-6 ბურთის სხვაობით შეეძლოთ გამარჯვება. და ეს ყველაფერი **რუნისა** და **ვან პერსის** გარეშე.

"იუნაიტედის" რიგებში საუკეთესო გახლდათ **ადნან იანუზაი.** 18 წლის ნახევარმცველი ბრწყინვალე იყო არა მარტო შეტევაში, არამედ დაცვაშიც. მას ანგარიშის გახსნა პირველ ტაიმშივე შეეძლო, მაგრამ საჯარიმო ხარიხას მოარტყა. პირველ ნახევარში მასპინძლები სუსტად გამოიყურებოდნენ, რასაც ვერ ვიტყვით მეორეზე, როცა "დამატებითი სიჩქარეები ჩართეს". პირველი გოლი გუნდის ლიდერის აქტიურობას მოჰყვა. იანუზაის გადაცემას კაგავამ თავი შეუშვირა, თუმცა **ტრემელმა** მოიგერია, დამატებაზე კი ყველას **ვალენსიამ** დაასწრო. იმავე იანუზაიმ ჩაშალა "სუონსის" კონტრშეტევა, რასაც "იუნაიტედის" მეორე ბურთი მოჰყვა. საგოლე გადაცემა **ევრამ** ჩაიწერა აქტივში. ბადე ტრემელის ზურგს უკან კიდევ რამდენჯერმე უნდა შერხეულიყო, მაგრამ **კაგავამ** და **სმოლინგმა** ბრწყინვალე მომენტები გაანიავეს. საკუთარი გუნდის ასეთი უნიათო თამაშის შემდეგ **მიკაელ ლაუდრუპმა** განაცხადა, დღეს მოგება მხოლოდ ერთ მხარეს უნდოდაო.

### ევერტონი ძლიერია

"ევერტონი" "ნორვიჩთან" ფავორიტი იყო და ზუსტად ისე ითამაშა, როგორც ეკადრებოდა. **რობერტო მარტინესის** გუნდს სჩვევია მოედნის ცენტრის დაპყრობა და მეტოქისთვის საკუთარი პირობების კარნახი. სტუმარი ზეწოლისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. პირველი გოლი მე-17 წუთზე **გარეთ ბერიმ** გაიტანა. 32 წლის ნახევარმცველისთვის ეს 50-ე გოლი აღმოჩნდა პრემიერლიგაში. მეორე **კევინ მირალიაშმა ლეიტონ ბეინსის** წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმოდან გაიტანა.

"უაით ჰართ ლეინზე" ლონდონურ დერბიში ანგარიში წესით "კრისტალ პალასს" უნდა გაეხსნა. მე-8 წუთზე **დემბელე შამახს** საჯარიმოში მოურიდებლად დაეჯახა ზურგში. პენალტი **ჯეისონ პანჩეონმა სერხიო რამოსის** სტილში დაარტყა და ტრიბუნებისგან სამართლიანი დაცინვაც დაიმსახურა. რაც შეეხება გოლებს: **ერიქსენი** მეკარესთან პირისპირ დარჩა, **დეფომ** კი საბოლოო დარტყმამდე ორი მცველი ჩამოიცილა და შარშანდელი აპრილის შემდეგ ჩემპიონატში პირველად გაიტანა.

### ზედიზედ მეექვსე

"მანჩესტერ სიტი" საოცარ ფორმაშია. **მანუელ პელეგრინის** კრებულმა ბოლო 12 ტურიდან 11-ჯერ იმარჯვა და ერთხელ ითამაშა ფრედ. უკანასკნელად დაკარგული ქულების შემდეგ კი გუნდმა მიჯრით 6-ჯერ იმარჯვა. დღეს ღამე ბირმინგემის "ვილა პარკის" მატჩის შედეგის მიხედვით "ქალაქელებმა" შესაძლოა ლიდერის პოზიცია საწყისი ტურის შემდეგ პირველად იგდონ ხელთ.

შესაძლოა, "კაჭკაჭების" გულშემატკივრებმა "სიტისთან" მომუშავე **მაიკ ჯონსს** მიკერძოებაში დასდონ ბრალი და მაგალითად **შეიკ ტიოტეს** არჩათვლილი გოლი მოიყვანონ, თუმცა არბიტრის გადაწყვეტილება ამ ეპიზოდში ლოგიკური იყო. დარტყმის მომენტში მასპინძელთა ერთბაშად სამი ფეხბურთელი იყო თამაშგარეში და აქედან ორი უშუალოდ მეკარის საჯარიმოში. არ დაგვავიწყდეს **იანგა-მბივასა** და **ნასრის** ეპიზოდიც, როცა მასპინძელთა ფრანგმა მცველი თანამემამულის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის წითელ ბარათს იმსახურებდა.

### ტამლემი ისევ მუშაობს

"სტოკის" 20 წლის ნიჭიერ მეკარე **ჯეკ ბატლენდს**, ვინც ოდესღაც ინგლისის ნაკრების კანდიდატად განიხილებოდა, მორიგი განსაცდელი ეწვია. ფეხბურთელმა კარიერაში მე-4 თამაში ჩაატარა პრემიერლიგაში, აქედან 3-ჯერ დამარცხდა და სამჯერვე სერიოზული ფსიქოლოგიური შოკი მიიღო გაუშვა რა 13 გოლი. წუხელ ფეხბურთელი საკუთარმა თანაგუნდელებმა გაწირეს, თავადაც რამდენიმე შეცდომა დაუშვა და მივიღეთ ის შედეგი, რაც ტაბლოზე დაფიქსირდა. **მარკ ჰიუზის** შეგირდთაგან ორი გოლი ყოფილმა ლივერპულელებმა **პიტერ კრაუჩმა** და **ჩარლი ადამმა** გაიტანეს, თუმცა ამან არ იკმარა, რადგან სტუმარს ყველაფერზე თავისი ადეკვატური პასუხი ჰქონდა.

"ლივერპულის" გულშემატკივარი ბედნიერი იყო, რომ მატჩის განაცხადში 6-კვირიანი პაუზის შემდეგ გამოჩნდა **დენიელ სტარიჯი**, ვინც 25 წუთში გოლი და საგოლე გადაცემა ჩაიწერა აქტივში. ჩვეულად აქტიურად გაისარჯა **ლუის სუარესი.** ურუგვაელმა მე-6 დუბლი შეასრულა და აქედან მეორედ სტუმრად ჩატარებულ თამაშებში.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



"ლივერპულის" თავდასხმის მრისხანე დუეტი აღდგა

### შოტლანდია

**პრემიერშიპი. XXII ტური**

| | |
|---|---|
| აბერდინი-ჰიბერნიანი | 1:0 |
| ჰართსი-მოზერველი | 0:1 |
| პატრიკი-როს ქაუნთი | 3:3 |
| სტ. ჯონსტონი-სტ. მირენი | 2:0 |
| ინვერნესი-დანდი იუნ | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 20 | 17 | 3 | 0 | 45-12 | 54 |
| 2. აბერდინი | 22 | 14 | 2 | 6 | 33-19 | 44 |
| 3. მოზერველი | 21 | 14 | 1 | 6 | 32-25 | 43 |
| 4. დანდი იუნ | 22 | 9 | 7 | 6 | 39-24 | 34 |
| 5. ინვერნესი | 20 | 10 | 4 | 6 | 28-19 | 34 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 21 | 8 | 4 | 9 | 27-23 | 28 |
| 7. ჰიბერნიანი | 22 | 7 | 7 | 8 | 19-20 | 28 |
| 8. კილმარნოკი | 21 | 6 | 3 | 12 | 25-34 | 21 |
| 9. სტ. მირენი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-36 | 20 |
| 10. პატრიკი | 21 | 4 | 7 | 10 | 20-36 | 19 |
| 11. როს ქაუნთი | 21 | 5 | 3 | 13 | 23-39 | 18 |
| 12. ჰართსი | 22 | 3 | 4 | 15 | 15-39 | -2 |

*ჰართსს დაკლებული აქვს 15 ქულა*

### ჰალი-ჩელსი 0:2

**გოლები:** 0:1 აზარი (56), 0:2 ტორესი (87)
**11 იანვარი.** ესტონეთი - ლატვია 32:30, **12 იანვარი.** პორტუგალია - ბოსნია 27:26.

**ბოსნია-** 10, პორტუგალია- 10, ლატვია- 4, ესტონეთი- 2 ქულა.

ამდენად, პლეი ოფში გავიდნენ: ლიტვა, რუმინეთი, საბერძნეთი, სლოვენია, ბოსნია-ჰერცეგოვინა.




# უსაგზუროდ დარჩნენ

ხორვატიაში გუშინ დამთავრდა 18-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა 2014 წლის ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ქართველები, ჰოლანდიელები და მაკედონიელებიც მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრებმა (**ზურაბ ცინცაძე, დემეტრე ნარსია, ჯაბა ხაჟომია, გიგა კოხრეიძე, გაგა დემეტრაშვილი, ამირან აბჟანდაძე, ვლადიმერ ბაჯალუა, თემურ ორჯონიკიძე, ალექსანდრე ცხვარაშვილი, გივი გიორგაძე, მიხეილ ნაზლაიძე, ირაკლი გოგოლაძე, გიორგი დოლმაზაშვილი, გიორგი დიხამინჯია, მწვრთნელი ტიტე კალანდაძე**) პირველი მატჩი ჰოლანდიასთან 10 ბურთის სხვაობით დათმო - 26:36. ამავე დღეს ხორვატებმა მაკედონიელები დაჯაბნეს, - 26:18. ასპარეზობის მეორე დღეს ტიტე კალანდაძის შეგირდები მასპინძლებთან დამარცხდნენ დიდი ანგარიშით - 14:44, მაკედონიელებმა კი ჰოლანდიელებს მოუგეს - 20:19.

გუშინ ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა: ხორვატია- ჰოლანდია 32:18, საქართველო-მაკედონია 24:29.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 3 | 0 | 0 | 102:50 | 6 |
| მაკედონია | 3 | 2 | 0 | 1 | 67:69 | 4 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 73:78 | 2 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 64:109 | 0 |

ამდენად, 18-წლამდელთა ევროპის პირველობის ფინალში (პოლონეთი, 2014 წლის 14-24 აგვისტო) ხორვატია და მაკედონია ითამაშებენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

თარიღები და მოვლენები

**13 - 16 იანვარი**

13. 1913. დაიბადა **ვლადიმერ ჟორბენაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1985 წელს

13. 1958. დაიბადა **ნინა დრონოვა** - სპორტული ტანვარჯიში

14. 01. 1993 წ. ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციების გაერთიანებით შეიქმნა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.

14. 1978. დაიბადა **კლიმენტი ნიტაიშვილი** - ფეხბურთი

15. 1931. დაიბადა **ოთარ ხაზარაძე** - ალპინიზმი

15. 1939. დაიბადა **ავერი მატკავა** - ნიჩბოსნობა

16. 1951. დაიბადა **რამაზ ხარშილაძე** - ძიუდო

16. 2012. **რაგბი.** საფრანგეთში 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში ჩვენმა „ბორჯღალოსნებმა“ რუსეთის ნაკრებს 38:3 მოუგეს.

16. 2012. **ძალოსნობა.** ყაზანში ევროპის ჩემპიონატზე **გია მაჭავარიანმა** (105 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ამერიკაში

# დუდამ სან დიეგოს პირველი მოაგებინა



- **დუდა სანაძემ** *ბევრი კარგი რამ გააკეთა დღეს გუნდისთვის და გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მინდა დავაფასო მისი ბრძოლისუნარიანობა,* - განაცხადა „სან დიეგო"-„ლოიოლა ლაიონსის" მატჩის შემდეგ დიეგოელთა თავკაცმა **ბილ გრირმა.**

ეს ერთი შეხედვით უბრალო კომენტარია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე ეხება კოლეჯების ლიგის უმაღლეს დივიზიონს, დუდას აღიარებადაც შეიძლება განვიხილოთ. ამ ლიგაში ხომ ფეხის მოკიდება არცთუ იოლია, მით უმეტეს, ევროპიდან ჩასული კალათბურთელებისთვის. სანაძემ კი მყარად დაიმკვიდრა ადგილი სასტარტო ხუთეულში და რიგ მატჩებში, მწვრთნელი თამაშის გადამწყვეტ ტყორცნებსაც ანდობს.

„ლაიონსთან" („ლომებთან") სანაძემ 24 წუთში 22 ქულა, 5 მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა მოაგროვა. მას ამჯერად სამქულიანი არ უსვრია, 10-დან 4 ორქულიანი გამოიყენა, ხოლო საჯარიმო ტყორცნებისას თითქმის შეუცდომელი იყო - 15-დან 14 ჩააგდო.

იმასაც გეტყვით, რომ მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე დუდას ანგარიშზე ოდენ 5 ქულა იყო, დარჩენილ დროში კი ერთბაშად 17 ქულას მოუყარა თავი. მატჩის ბედი საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე გადაწყდა: სანაძის გუნდი 52:51-ს იგებდა, როცა 21 წლის ქართველმა ჯარიმიანი ორქულიანი ჩააგდო, ამას კიდევ ერთი უპასუხო ორიანი მიაყოლა და „სან დიეგო" 57:51 დააწინაურა. დარჩენილ 5 წუთში მან კიდევ ერთ ტყორცნას „მიატანა" საჯარიმო, ხოლო ბოლო წამებზე, როცა მეტოქე განზრახ ჯარიმდებოდა სანაძემ ექვსი საჯარიმო გამოიყენა.

„სან დიეგომ" საბოლოოდ 74:67 გაიმარჯვა. ეს გახლდათ პირველი მოგება დივიზიონის მატჩების დაწყების შემდეგ. მანამდე დიეგოელებს სამი შეხვედრა ჰქონდათ წაგებული.

„ლომების" ძლევის შემდეგ დუდას თანაგუნდელმა „პეპერდაინს" უმასპინძლეს და ბოლო წამებზე 65:69 დამარცხდნენ.

ქართველს ამჯერად 33 წუთი ერგო (სასტარტოში რომ დაიწყო, ამას აღარ შეგახსენებთ) და ორქულიან-სამიანები 50-პროცენტიანის სიზუსტით სტყორცნა: 4-4 ისროლა და 2-2 ჩააგდო, 6-დან 4 საჯარიმოც მიამატა და 14 ქულასთან ერთად 4 მოხსნას გამორჩა.

საინტერესოა, რომ მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე სანაძის ორქულიანის შემდეგ „სან დიეგო" 5 ქულით დაწინაურდა (63:58), თუმცა დარჩენილ დროში მასპინძლებმა 2:11 დათმეს და სეზონის მეოთხე შეხვედრა დაასრულა მარცხით.

ინტერვიუ

## სათადარიგოდან თუ სასტარტოდან, ყოველთვის მაქსიმუმს გავიღებ

„ლოიოლა ლაიონსთან" მოგების შემდეგ მატჩის გმირ დუდა სანაძესთან ამერიკელმა ჟურნალისტებმა ინტერვიუ ჩაწერეს. გთავაზობთ მის გადმოქართულებულ ვარიანტს:

- მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს თანაგუნდელებს, რომლებიც მხარში ამომიდგნენ და ერთად შევძელით ძლიერი მეტოქის დამარცხება. რაც შეეხება ჩემს თამაშს, სასტარტო ხუთეულიდან დავიწყებ თუ სათადარიგოთა სკამიდან, 20 წუთს ვითამაშებ თუ 10-ს, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ყოველთვის ვეცდები გუნდისთვის მაქსიმუმი გავიღო.

**- მენტალური თვალსაზრისით რას ნიშნავდა ეს მატჩი თქვენთვის?**

- სამი მარცხის შემდეგ პირველად მოვიგეთ, რაც ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მომდევნო შეხვედრებს უფრო თავდაჯერებულები შევხვდებით და, ვიმედოვნებ, სატურნირო სიტუაციასაც გამოვისწორებთ. ამისთვის კი აუცილებელია, საშინაო მატჩებში დავიცვათ და არ გავფლანგოთ ქულები.

**- ჯონი დიმ ავადმყოფობის გამო მეორე ტაიმში მხოლოდ 3 წუთი ითამაშა. რას იტყვი მის შესახებ?**

- დი დივიზიონის ერთ-ერთი სნაიპერთაგანია, რაც იოლი მისაღწევი სულაც არ არის. ლიგაში ხომ გუნდები დიდ ყურადღებას აქცევენ დაცვით თამაშს და უამრავი მაღალი დონის დამცველი თამაშობს.

ვითიბი ლიგა



## ჩეხეთი... და ისევ მარცხი

**გიორგი ცინცაძის** „დონეცკმა" ვითიბი ლიგაზე გასვლითი შეხვედრა ჩეხეთში ჩაატარა და „ნიმბურკთან" 84:97 დამარცხდა. სამი პერიოდის განმავლობაში თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, ბოლო რაუნდში კი მასპინძლებმა 31:23 იყოჩაღეს და „დონეცკს" ვითიბი ლიგაზე მეხუთე მარცხი აგემეს. უკრაინელებს 6 მოგება აქვთ და სატურნირო ცხრილში „ნიჟნი ნოვგოროდთან" ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ.

ჩეხეთში ცინცაძემ 26 წუთში 9 ქულა, 4 შედეგიანი გადაცემა და 3-3 მოხსნა-ჩაჭრა მოაგროვა. მის ანგარიშზე 2 ორქულიანი (6-დან), 1 სამიანი (2-დან) და 2 საჯარიმოა (2-დან).

მატჩის ბომბარდირი სლოვაკეთის ნაკრებისა და „ნომბურკის" ფორვარდი **რადოსლავ რანჩიკი** გახდა - 21 ქულა.

ქართველი NBA-ში

# მარცხენა და მარცხი





**თორნიკე შენგელიამ** 9 და 11 იანვარს ორი გუნდის შემადგენლობაში ორი შეხვედრა ჩაატარა. ჯერ NBA-ს განვითარების ლიგაში „სპრინგფილდ არმორთან" ერთად „აიოვა ენერჯის" ესტუმრა და „წვიმიან" მატჩში დამარცხდა. წყალი საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრებისასაც აღარ ჩამოდის და, ცხადია, წვიმას არც განვითარების ლიგაში შეუწუხებია ვინმე. აი, ქულების წვიმა კი ნამდვილად იყო: 48-წუთიან პაექრობაში 275 ქულა ჩავარდა. მოედნიდან „დასველებული" „სპრინგფილდი" გამოვიდა - 132:143.

ამ ლიგაში თითოეული კალათბურთელი თავის გამოჩენას, NBA-ს სკაუტების ყურადღების მიპყრობას ცდილობს, რასაც გუნდური თამაში ეწირება. მართალია, შენგელია ინდივიდუალურადაც ძლიერია, მაგრამ ევროპაში გაიზარდა და „გაიქეცი-ჩააგდე" მის სტილში არ ჯდება. თოკომ „ენერჯისთან" 22:46 წუთი ითამაშა, 10 ქულა, 4 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. სპრინგფილდელთა მიერ ნატყორცნი 86 ორქულიანიდან ქართველზე მხოლოდ 5 მოდიოდა, საიდანაც 4 კალათში მოათავსა.

11 იანვარს „სპრინგფილდ არმორმა" „დელავერის" წინააღმდეგ ითამაშა და 113:105 გაიმარჯვა. შენგელიას ამ მატჩში მონაწილეობა აღარ მიუღია, რადგან NBA-ს „ბრუკლინ ნეთსში" დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ნაციონალური საკალათბურთო ლიგის გუნდებს შეუძლიათ კალათბურთელები სათამაშო პრაქტიკის მიზნით ნებისმიერ დროს განვითარების ლიგის კლუბში გაუშვან და როცა მოესურვებათ, მაშინ დაიბრუნონ.

11 იანვარს თოკომ უკვე NBA-ში, „ბრუკლინის" მაისურით კანადაში „ტორონტო რეპტორსის" წინააღმდეგ ითამაშა. მას მწვრთნელმა, **ჯეისონ კიდმა** 3:42 წუთი არგუნა, ერთადერთი, რაც შენგელიამ მოასწრო, შედეგიანი 2-ქულიანი ტყორცნა იყო: ფარქვეშ შესულმა **მირზა ტელეტოვიჩმა** მარცხნივ ქართველი ფორვარდი კარგად შენიშნა, პასი არ დააუგვიანა და შენგელიამაც მარცხენათი ზუსტად სტყორცნა.

ეს ყველაფერი ბოლო წუთზე მოხდა და სწორედ თოკოს ორქულიანმა დააფიქსირა საფინალო ანგარიში - 96:80. ოღონდ, მასპინძელი „ტორონტოს" სასარგებლოდ. მარცხის მიზეზად სახელდება გუნდის გადაღლა, „ბრუკლინმა" წინა დღისით „მაიამისთან" ხომ ორი ოვერტაიმი ითამაშა და 104:95 გაიმარჯვა. „ტორონტოსთან" მწვრთნელმა ვეტერანი **კევინ გარნეტი** უბრალოდ დაასვენა. „ბრუკლინს" დაღმავლობა განსაკუთრებით ბოლო ოც წუთში დაეტყო: მესამე პერიოდის შუაში 60:50-ს იგებდა, თუმცა ტორონტოელებს დიდი დრო არ დასჭირდათ 72:64 დასაწინაურებლად. საფინალო ანგარიში კი ზემოთ მოგახსენეთ.

„მაიამისთან" მოგების შემდეგ „ნეთსი" აღმოსავლეთის კონფერენციის ტოპ-8 გუნდს შორის შევიდა, რაც პლეი ოფში თამაშის გარანტიაა, თუმცა რეგულარული ეტაპის დასრულებამდე დიდ დროა დარჩენილი და „ბრუკლინმა" თამაში თუ კიდევ არ გააუმჯობესა, მიღწეულის შენარჩუნება იოლი არ იქნება.

ქართველები ესპანეთში

## შერმადინის ზედიზედ მეორე დუბლი

ესპანეთის ჩემპიონატში მე-8 მატჩი მოიგო **გიორგი შერმადინისა** და **ვიქტორ სანიკიძის** „სარაგოსამ". არაგონელების გამარჯვებას ფასს ის მატებს, რომ მატჩი მადრიდში, გაიმართა, ვიქტორის ყოფილ კლუბ „ესტუდიანტესთან" - 89:62.

პირველივე წუთებზე სარაგოსელები 10:0 დაწინაურდნენ. 10-დან 5 ქულა შერმადინის ანგარიშზე იყო, ხოლო პირველი ტაიმის დასასრულისთვის გიორგის უკვე ორმაგი დუბლი ჰქონდა გაფორმებული. მისი საბოლოო მონაგარი ასეთი იყო: 12 ქულა, 11 მოხსნა 25 წუთში.

სანიკიძეც „სარაგოსას" სასტარტო ხუთეულში გახლდათ, 26 წუთში 6 ქულა, 9 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა გაიფორმა.

■ ■ ■

ამავე ტურში **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა" „მონბუსი" მიიღო და 80:71 დაამარცხა. ქართველმა ფორვარდმა 8 წუთში ბურთი ერთხელ მოხსნა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# სამი უკვე პლეი ოფშია, ორიც მიჯნაზეა

ევროთასების გათამაშების ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. უკვე ცნობილია, რომ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს, „ჰაინეკენის თასზე“: „კლერმონმა“, „ტულონმა“ და „ტულუზმა“. „ემლინ ჩელენჯ კაპზე“ „ბრივს“, სავარაუდოდ, წინ ვერავინ დაუდგება, „სტად ფრანსემ“ კი, პორტუგალიურ „ლუზიტანოსს“ ასი ქულით უნდა მოუგოს.

A ჯგუფში პლეი ოფში გასვლის თეორიულ შანსს ინარჩუნებდა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“. ჩვენებურის გუნდმა ეს შესაძლებლობა ბოლოსწინა ტურში შინ, გათამაშების ფავორიტ ირლანდიურ „ლენსტერთან“ მარცხის გამო დაკარგა - 22:29. ამავე ჯგუფში, ინგლისურმა „ნორსჰემპთონმა“ სტუმრად მოუგო უელსურ „ოსფრიზს“ - 2?:17. ფეიქრიშვილი თადარიგში იყო და თამაშში 56-ე წუთიდან ჩერთო.

პირველობა არავის დაუთმო B ჯგუფში მოასპარეზე **ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის „ტულონმა“**. **მურად ბურჯელალის** ვანსკვლავური გუნდი ევროთასებზე ბევრად უკეთ თამაშობს, ვიდრე საფრანგეთის ჩემპიონატში. ტულონელებმა ბოლოსწინა ტურში უელსურ „კარდიფს“, რომელიც უშუალო კონკურენტი იყო, ნიცას „ალიანს რივიერაზე“ უმასპინძლეს და 43:20 მოუგეს.

უელსელებმა „ტულონს“ წინაალმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს, რომელიც მხოლოდ ორი ქულის სხვაობით წააგეს -13:15. შესვენების შემდეგ მასპინძელთა შერკინება მძლავრად ამუშავდა და არბიტრმა მათ სასარგებლოდ სამი საჯარიმო ლელო დააფიქსირა. ცხადია, ამან მეტოქე საბოლოოდ გატეხა, რასაც ოთხი კარდიფელის განსინზინებაც მოჰყვა. შედეგად, „ტულონი“ უკვე მეოთხედფინალისთვის მოემზადება.

მიქაუტაძე თადარიგში იყო და თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავას არ უთამაშია. ამავე ჯგუფში შოტლანდიურმა „გლაზგომ“ სტუმრად მოუგო ინგლისურ „ექსეტერს“ - 15:10.

ფაქტობრივად, პლეი ოფშია **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზიც“, რომელმაც შინ პრინციპულ მატჩში უშუალო კონკურენტი ინგლისური „სარასენზი“ დაამარცხა 21:11. ბოლო ტურში ტულუზელები სტუმრად ეთამაშებიან აუტსაიდერ იტალიურ „ზებრეს“. ცხადია, ამ მატჩის გამარჯვებულის ვინაობა ძნელი გამოსაცნობი არ არის. ქართველი მორაგბეები ტრავმირებულნი არიან და არ უთამაშიათ.

„ტულონის“ მსგავსად დამაჯერებლად მოიგო D ჯგუფი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა“. „ვულკანებმა“ ბოლოსწინა ტურში სტუმრად უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხეს უშუალო კონკურენტი ინგლისური „ჰარლიქვინზი“ 16:13 და პლეი ოფის საგზური ვადაზე ადრე გაინაღდეს.

მასპინძლებმა ჩვენებურის გუნდს პირველი ტაიმი ათი ქულის სხვაობით მოუგეს - 13:3. თითქოს ინგლისელებს წარმატების მიღწევა აღარ უნდა გასჭირვებოდათ, თუმცა „კლერმონმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შესანიშნავად ორგანიზებული გუნდია და შესვენების შემდეგ მეტოქეს მონაგარის გაზრდის საშუალება არ მისცა, თვითონ კი ზუსტად იმდენი ქულის აღება შეძლო, რამდენიც გამარჯვებისთვის საკმარისი იქნებოდა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში მოასპარეზე **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგმა“ შინ წააგო უელსურ „ჰლანეჰლისთან“ 13:19 და ბოლო ადგილზე დამკვიდრდა. ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო.

E ჯგუფში **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“ უმოტოვაციოდ იყო დარჩენილი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ **ფაბიენ გალტიემ** ირლანდიაში, ჯგუფის ლიდერ „ალსტერთან“ სათამაშოდ თითქმის სათადარიგო გუნდი წაიყვანა. მასპინძლებმა, ცხადია, მეტოქე დაამარცხეს 27:16 და ლიდერობა განიმტკიცეს.

ნარიაშვილი თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო, გორგოძე განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ლესტერ ტაიგერზმა“ სტუმრად მოუგო იტალიურ „ბენეტონს“ - 34:19.

F ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდები **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი“ და **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი“ პლეი ოფში გასვლის თეორიულ შანსს ინარჩუნებდნენ. თუმცა ლიდერმა, ირლანდიურმა „მანსტერმა“ სტუმრად მოუგო ინგლისურ „გლოსტერს“ 20:7 და მეტოქეთაგან მიუწვდომელი შეიქნა.

„ედინბურგმა“ კი „პერპინიანს“ შინ მოუგო 27:16 და ახლა მეორე ადგილზეა. ქართველი მორაგბეები ტრავმირებულნი არიან და არ უთამაშიათ.



უტევს ზურაბ ჟვანია

## ჰაინეკენის თასი

### A ჯგუფი

კასტრი-ლენსტერი 22:29, ოსფრიზი-ნორსჰემპთონი 17:29

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლენსტერი - 17 ქულა, 2. ნორსჰემპთონი - 13, 3. კასტრი - 9, 4. ოსფრიზი - 5.

**VI ტური**

ლენსტერი-ოსფრიზი, ნორსჰემპთონი-კასტრი

### B ჯგუფი

ტულონი-კარდიფი 43:20, ექსეტერი-გლაზგო 10:15

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 20 ქულა, 2. კარდიფი - 13, 3. გლაზგო - 10, 4. ექსეტერი - 8.

**VI ტური**

გლაზგო-ტულონი, კარდიფი-ექსეტერი

### C ჯგუფი

ტულუზი-სარასენზი 21:11, ქონოთი-ზებრე 20:3

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 19 ქულა, 2. სარასენზი - 15, 3. ქონოთი - 13, 4. ზებრე - 0.

**VI ტური**

ზებრე-ტულუზი, სარასენზი-ქონოთი

### D ჯგუფი

ჰარლიქვინზი-კლერმონი 13:16, მეტრო რასინგი-ჰლანეჰლი 13:19

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 19 ქულა, 2. ჰარლიქვინზი - 12, 3. ჰლანეჰლი - 10, 4. მეტრო რასინგი - 7.

**VI ტური**

კლერმონი-მეტრო რასინგი, ჰლანეჰლი-ჰარლიქვინზი

### E ჯგუფი

ალსტერი-მონპელიე 27:16, ბენეტონი-ლესტერ ტაიგერზი 19:34

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 22 ქულა, 2. ლესტერი ტაიგერზი - 20, 3. მონპელიე - 6, 4. ბენეტონი - 0.

**VI ტური**

ლესტერი-ალსტერი, მონპელიე-ბენეტონი

### F ჯგუფი

ედინბურგი-პერპინიანი 27:16, გლოსტერი-მანსტერი 7:20

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მანსტერი - 18 ქულა, 2. ედინბურგი 12, 3. გლოსტერი - 9, 4. პერპინიანი - 7.

**VI ტური**

მანსტერი-ედინბურგი, პერპინიანი-გლოსტერი

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში სამი „ქართული გუნდიდან“ ერთს თითქმის გარანტირებული აქვს პლეი ოფში თამაში, მეორეს რეალური შანსი აქვს, მესამეს კი, ისე ჩანს, რომ არც თავიდან ჰქონია პრეტენზია.

**გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივმა“, რომელიც C ჯგუფში ასპარეზობს, გადამწყვეტი გამარჯვება სტუმრად უშუალო კონკურენტთან, ინგლისურ „ნიუკასლთან“ მატჩში მოიპოვა 9:7 და სატურნირო ცხრილში დაწინაურდა. ბოლო ტურში ბრიველები შინ მიიღებენ აუტსაიდერს, იტალიურ „კალვიზანოს“ და, ცხადია, იოლად გაუსწორდებიან. შველიძე თამაშში 63-ე წუთიდან ჩერთო, ასეიშვილი განაცხადში არ იყო.

E ჯგუფში ორხელისუფლებიანობაა. **ზურაბ ჟვანიასა და დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსეს“ ინგლისური „ლონდონ აირიშის“ მსგავსად 19 ქულა აქვს. პარიზელებმა ბოლოსწინა ტურში შინ მოუგეს იტალიურ „პრატოს“ - 31:3. ლონდონელებმა კი ასევე შინ დაამარცხეს დიდი ანგარიშით პორტუგალიური „ლუზიტანოსი“ - 79:3. ჟვანია თამაშში 47-ე წთიდან ჩაერთო, ქუბრიაშვილი განაცხადში არ იყო. ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად „სტად ფრანსეს“ პორტუგალიელების ასი ქულის სხვაობით დამარცხება მართებთ.

პირველ ადგილზე გასვლის ყველანაირი შანსი გადაეწურა B ჯგუფის ბინადარ **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოს“. მართალია, ჩვენებურის გუნდმა შინ იტალიურ „მოლიანოს“ სძლია 64:7, მაგრამ ინგლისური „ბასი“ მას 9 ქულით უსწრებს. ნავროზაშვილი თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო.

## ემლინ ჩელენჯ კაპი

**V ტური**

### A ჯგუფი

ოიონაქსი-ბიარიცი 28:24, სეილ შარქსი-ვორსტერი 21:3

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სეილ შარქსი - 19 ქულა, 2. ბიარიცი - 15, 3. ოიონაქსი -11, 4. ვორსტერი - 3.

**VI ტური**

ვორსტერი-ოიონაქსი, ბიარიცი-სეილ შარქსი

### B ჯგუფი

ნიუპორტი-ბასი 13:30 ბორდო-მოლიანო 64:7

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 23 ქულა, 2. ბორდო - 14, 3 ნიუპორტი - 10, 4. მოლიანო - 0.

**VI ტური**

ბასი-ბორდო, მოლიანო-ნიუპოტი

### C ჯგუფი

ნიუკასლი-ბრივი 7:9, კალვიზანო-ბუქარესტი 11:23

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრივი - 18, 2. ნიუკასლი - 15 ქულა, 3. ბუქარესტი - 10, 4. კალვიზანო - 2.

**VI ტური**

ბრივი-კალვიზანო, ნიუკასლი-ბუქარესტი

### D ჯგუფი

ბაიონი-ვოსფსი 13:26, ვიადანა-გრენობლი 19:19

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვოსფსი - 22 ქულა, 2. ბაიონი - 15, 3. გრენობლი - 7, 4. ვიადანა - 2.

**VI ტური**

გრენობლი-ბაიონი, ვოსფსი-ვიადანა

### E ჯგუფი

სტად ფრანსე-პრატო 31:3, ლონდონ აირიში-ლუზიტანოსი 79:3

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლონდონ აირიში - 19 ქულა, 2. სტად ფრანსე - 19, 3. პრატო - 11, 4. ლუზიტანოსი - 0.

**VI ტური**

ლუზიტანოსი-სტად ფრანსე, პრატო-ლონდონ აირიში

■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია **ვიქტორ კოლელიშვილისა** და **გურამ კავთიძის** „ლიონმა“, რომელმაც შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა აუტსაიდერი „კარკასონი“ - 35:10. კოლელიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს, კავთიძეს არ უთამაშია.

**გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ შინ დაამარცხა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“ 23:17 და საპლეიოფო ხუთეულს ახლა ხუთი ქულით ჩამორჩება. ნემსაძემ სრულად ითამაშა, შეყლაშვილი თამაშის დასაწყისშივე, მე-13 წუთზე დაშავდა და შეცვალეს, ჩხაიძემ მოედანი 41-ე წუთზე დატოვა, მირცხულავამ თამაშში 11 წუთით მეტი დაყო.



კონსტანტინე მიქაუტაძე (N 23)

„ტარბის“ მსგავსად 38 ქულა აქვს და მე-9 ადგილზეა **ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი“, რომელიც შინ დამარცხდა უშუალო კონკურენტ „ნარბონთან“ - 29:32. დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნაცარაშვილი განაცხადში არ იყო.

**მერაბ შარიქაძისა** და **თამაზ მჭედლიძის** „ბურგ ან ბრესმა“ შინ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „ბურგუენთან“ - 20:13. მიუხედავად ამისა, ჩვენებურთა გუნდი მაინც სახიფათო ზონაშია. შარიქაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მჭედლიძე ტრავმირებულია.

## II დივიზიონი

**XVI ტური**

ტარბი-ბეზიე 23:17, ორიაკი-ნარბონი 29:32, ოში-პო 12:9, ბურგ ან ბრესი-ბურგუენი 20:13, ლიონი-კარკასონი 35:10, კოლომიე-დაქსი 20:3.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი - 61 ქულა, 2. პო - 50, 3. აჟენი - 49, 4. ლა როშელი - 46, 5. ნარბონი - 43, 6. კოლომიე - 41, 7. ბურგუენი - 39, 8. ტარბი - 38, 9. ორიაკი - 38, 10. დაქსი - 31, 11. მონ დე მარსანი - 31, 12. ბეზიე - 30, 13. ალბი - 29, 14. ბურგ ან ბრესი - 25, 15. ოში - 22, 16. კარკასონი - 21.

ბესიკ ჯანგავაძე



მოლის სათავეში დავით ზირაქაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# ნოვაკი და პეჟო დაძმობილდნენ

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** პარტნიორული ხელშეკრულება გააფორმა ფრანგულ ავტომწარმოებელთან „პეჟოსთან“.

კონტრაქტის პირობების თანხმად, „პეჟოს“ უფლება აქვს გამოიყენოს ჯოკოვიჩის გამოსახულება თავის ნებისმიერ ბრენდზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. გარდა ამისა, ჯოკოვიჩის სათამაშო ფორმის მარცხენა სახელოზე განთავსებული უნდა იყოს კომპანიის ლოგო.

*„მოხარული ვარ წარმოვადგინო ეს საავტომობილო კომპანია, რომელმაც მთელ მსოფლიოში მოიპოვა აღიარება და რომლის ისტორია 200 წელს ითვლის,* - განაცხადა ჯოკოვიჩმა. - *ჩემს წარმოდგენაში „პეჟო“ არის საფრანგეთის ელეგანტურობისა და დახვეწილობის სიმბოლო. ის ერთგვარად ცხოვრების სტილის გამომხატველია“.*

სხვათა შორის, 2014 წელს 30 წელი უსრულდება ფრანგული ავტომწარმოებლის თანამშრომლობას „დიდი სლემის“ ტურნირთან - როლან გაროსთან.

# მარიამ ბავშვებზე იზრუნა

რუსი ჩოგბურთელის **მარია შარაპოვას** ბრენდი Sugarpova ამერიკის ქალაქ ნიუპორტში ჩოგბურთის დიდების დარბაზის ოფიციალური სპონსორი გახდა.

მუზეუმის შენობაში, რომელიც ნიუპორტის საჩოგბურთო კომპლექსშია განთავსებული, Sugarpova-ს ტკბილეულისა და აქსესუარების სამი მალაზია გაიხსნება. მათი რეალიზაციიდან შემოსული თანხით შესაძლებელი იქნება მუზეუმის ტერიტორიაზე ბავშვების უფასოდ შეშვება

*„ჩემთვის დიდი პატივია, რომ ჩვენი ბრენდი შეუერთდა ჩოგბურთის დიდების დარბაზს. განსაკუთრებით კი ის მიხარია, რომ ჩვენ გავხდებით ასეთი მნიშვნელოვანი პროგრამის ნაწილი. პირადად მე, დიდების დარბაზი ბავშვობაში მოვინახულე. იმედია, ამ ადგილის დათვალიერება ბავშვებს ჩოგბურთში მეცადინეობისთვის აღმაფრენას მიანიჭებს“,* - განაცხადა მარიამ WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

რუსმა ასევე უპასუხა შეკითხვას - შეიძლება თუ არა მისი კომპანია გახდეს WTA-ის სპონსორი.

*„ჩემი ბიზნესი იმდენად დიდი არ არის, რომ WTA-ის ტურის სპონსორი გავხდე. დარწმუნებული არ ვარ, რომ ასეთი რაოდენობის ფული მაქვს. თუმცა, თუ ფასდაკლებაზე წამოვლენ, შეიძლება დავფიქრდე“,* - იხუმრა მსოფლიოს მესამე ჩოგანმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


მარია შარაპოვა

## ავსტრალიის ღია პირველობა. კაცების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

ნადალი (ესპ, 1)
ტომიჩი (ავსტრა)
კოკინაკისი (ავსტრა)
სისლინგი (ჰოლ)
კამკე (გერ)
სოკი (აშშ)
ჰარისონი (აშშ)
მონფილსი (საფ, 25)
სეპი (იტა, 24)
ჰიუიტი (ავსტრა)
ჰაასე (ჰოლ)
იანგი (აშშ)
ლაიოვიჩი (სერ)
პუი (საფ)
მატოშევიჩი (ავსტრა)
ნიშიკორი (იაპ, 16)
რაონიჩი (კან, 11)
ხიმენო-ტრავერი (ესპ)
გოიოვჩიკი (გერ)
ჰანესკუ (რუმ)
ვანგი (ტაივ)
ლუ (ტაივ)
კლანი (აშშ)
დიმიტროვი (ბულ, 22)
პერი (საფ, 27)
დანჩევიჩი (კან)
კირგიოსი (ავსტრა)
ბეკერი (გერ)
ბაუტისტა აგუტი (ესპ)
შმიჩეკი (აშშ)
უილიამსი (აშშ)
დელ პოტრო (არგ, 5)
მარეი (ბრიტ, 4)
სოედა (იაპ)
მილო (საფ)
ოდესნიკი (აშშ)
ბერერი (გერ)
ლოდრა (საფ)
დევარმანი (ინდ)
ლოპესი (ესპ, 26)
კოლშრაიბერი (გერ, 21)
ბედენე (სლოვენ)
პრსიეჟნი (პოლ)
სებალიოსი (არგ)
როლა (სლოვენ)
დელბონისი (არგ)
კლიჟანი (სლოვაკ)
ისნერი (აშშ, 13)
ცონგა (საფ, 10)
ვოლანდრი (იტა)
ბელუჩი (ბრა)
რაისტერი (გერ)
ჩილიჩი (ხორ)
გრანოლერსი (ესპ)
ბრანდსი (გერ)
სიმონი (საფ, 18)
ვერდასკო (ესპ, 31)
ჟანგი (ჩინ)
გაბაშვილი (რუს)
სტახოვსკი (უკრ)
შტეპანეკი (ჩეხ)
კავჩიჩი (სლოვენ)
დაკუორტი (ავსტრა)
ფედერერი (შვეიც, 6)

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ნადალი (ესპ, 1)-მონფილსი (საფ, 25)
სეპი (იტა, 24)-ნიშიკორი (იაპ, 16)
რაონიჩი (კან, 11)-დიმიტროვი (ბულ, 22)
პერი (საფ, 27)-დელ პოტრო (არგ, 5)
მარეი (ბრიტ, 4)-ფ. ლოპესი (ესპ, 26)
ისნერი (აშშ, 13)-კოლშრაიბერი (გერ, 21)
ცონგა (საფ, 10)-სიმონი (საფ, 18)
ვერდასკო (ესპ, 31)-ფედერერი (შვეი, 6)
ბერდიხი (ჩეხ, 7)-დოდიგი (ხორ, 32)
ანდერსონი (ს. აფრ, 19)-ჰაასი (გერ, 12)
იუჟნი (რუს, 14)-იანოვიჩი (პოლ, 20)
შარდი (საფ, 29)-ფერერი (ესპ, 4)
ვავრინკა (შვეიც, 8)-პოსპიშილი (კან, 28)
რობრედო (ესპ, 17)-გასკე (საფ, 9)
ფონინი (იტა, 15)-გულბისი (ლატ, 23)
ტურსუნოვი (რუს, 30)-ჯოკოვიჩი (სერ, 2)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

ბერდიხი (ჩეხ, 7)
ნედოვესოვი (ყაზ)
ვუ (ჩინ)
სხეპერი (საფ)
ჰაიეკი (ჩეხ)
ძუმჰური (ბოს)
კარლოვიჩი (ხორ)
დოდიგი (ხორ, 32)
ანდერსონი (ს. აფრ, 19)
ვესელი (ჩეხ)
ტიემი (ავსტრა)
სოუზა (პორ)
ბერლოკი (არგ)
როჟე-ვასელენი (საფ)
გარსია-ლოპესი (ესპ)
ჰაასი (გერ, 12)
იუჟნი (რუს, 14)
შრუფი (გერ)
ფ. მაიერი (გერ)
კუდლა (აშშ)
რამოსი (ესპ)
ანდუხარი (ესპ)
ტომპსონი (ავსტრა)
იანოვიჩი (პოლ, 20)
შარდი (საფ, 29)
ჰუტა გალუნგი (ჰოლ)
ბერანკისი (ლიტ)
დოლგოპოლოვი (უკრ)
ჯონსონი (აშშ)
მანარინო (საფ)
გონსალესი (კოლ)
ფერერი (ესპ, 3)
ვავრინკა (შვეიც, 8)
გოლუბევი (ყაზ)
ფალა (კოლ)
კუკუშკინი (ყაზ)
მაუ (საფ)
ებდენი (ავსტრა)
გროტი (ავსტრა)
პოსპიშილი (კან, 28)
რობრედო (ესპ, 17)
როსოლი (ჩეხ)
კარენო ბუსტა (ესპ)
ბენეტო (საფ)
დავიდენკო (რუს)
კუბოტი (პოლ)
გუეზი (საფ)
გასკე (საფ, 9)
ფონინი (იტა, 15)
ბოგომოლოვი (რუს)
სელა (ისრ)
ნიემინენი (ფინ)
ხირალდო (კოლ)
კუერი (აშშ)
მონაკო (არგ)
გულბისი (ლატ, 23)
ტურსუნოვი (რუს, 30)
რასელი (აშშ)
ბალდატისი (კვიპ)
ისტომინი (უზბ)
ლ. მაიერი (არგ)
მონტანესი (ესპ)
ლაჩკო (სლოვაკ)
ჯოკოვიჩი (სერ, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ჰინგისი მელბურნში მწვრთნელი იქნება

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** ავსტრალიის ღია პირველობის მსვლელობისას გერმანელი **საბინ ლისიცკის** მწვრთნელი იქნება. ჯერჯერობით არ დაზუსტებულა - გააგრძელებენ თუ არა ჰინგისი და ლისიცკი თანამშრომლობას ტურნირის დასრულების შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში 33 წლის ჰინგისი რამდენიმე თვე ავარჯიშებდა რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვას**.

საჩოგბურთო კარიერის დროს, მარტინა ჰინგისმა სამჯერ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა - 1997, 1998 და 1999 წლებში.



ჰინგისი და ლისიცკი უკვე ერთად არიან



ლინდსის მეუღლე და ორი შვილი

## გმირი დედა დევენპორტი

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ლინდსი დავენპორტმა** გოგონა გააჩინა, რომელსაც **ჰეივენ მიშელი** დაარქვეს. ეს არის „დიდი სლემის" ტურნირების სამგზის გამარჯვებულისა და მისი მეუღლის **ჯონათან ლინის** მეოთხე შვილი. ლინდსის ასევე ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავს.

*„ორი ყველაზე საყვარელი მამაკაცი და ჩვენი ოჯახის მორიგი წევრი - ჰეივენი"*, - დაწერა ფოტოზე დევენპორტმა.

# რაფტერი წყვილებისთვის დაბრუნდა

ავსტრალიის ღია პირველობის მამაკაცთა წყვილთა თანრიგში ერთი საინტერესო დუეტი ითამაშებს. ლეგენდარული ავსტრალიელი **პატრიკ რაფტერი**, რომელმაც კარიერა 2002 წელს დაასრულა, თანამემამულე **ლეიტონ ჰიუიტს** შეუწყვილდება და კორტზე ოფიციალურად დაბრუნდება.

ავსტრალიური წყვილი, რომელმაც ტურნირის ორგანიზატორებისგან უაილდ-ქარდი მიიღო, პირველ წრეში **ერიკ ბუტორაკისა** (აშშ) და **რავენ კლასენის** (ს. აფრიკა) დუეტს დაუპირისპირდება.

რაფტერი, რომელიც ამჟამად დევისის თასზე ავსტრალიის ნაკრების კაპიტანია, ორჯერ იყო აშშ-ის ლია პირველობის ჩემპიონი (1997, 1998) ერთეულებში, მოგებული აქვს ავსტრალიის ღია წყვილებში (1999) და დევისის თასი (1999).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



პატრიკ რაფტერი და ლეიტონ ჰიუიტი

## ავსტრალიის ღია პირველობა. ქალების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

ს. უილიამსი (აშშ, 1)
ბარტი (ავსტრა)
დოლონცი (სერ)
არუაბარენა (ესპ)
პარმენტიე (საფ)
კარ. პლიშკოვა (ჩეხ)
უოტსონი (ბრიტ)
ჰანტუხოვა (სლოვა, 31)
სტოსური (ავსტრა, 17)
ზაკოპალოვა (ჩეხ)
პირონკოვა (ბულ)
სოლერ ესპინოსა (ესპ)
ბეკი (გერ)
მარტიჩი (ხორ)
ბერტენსი (ჰოლ)
ივანოვიჩი (სერ, 14)
ვინჩი (იტა, 12)
ჟენგი (ჩინ)
მეირი (ავსტრია)
კისი (აშშ)
დელაკუა (ავსტრა)
ზვონარევა (რუს)
რობსონი (ბრიტ)
ფლიპკენსი (ბელ, 18)
ბუშარი (კან, 30)
ტანი (ჩინ)
ვან უიტვანკი (ბელ)
რაზანო (საფ)
ვიკერი (აშშ)
დევისი (აშშ)
გორგესი (გერ)
ერანი (იტა, 7)
ლი (ჩინ, 4)
კონიუჰი (ხორ)
ბენჩიჩი (შვეიც)
დატე (იაპ)
ვეკიჩი (ხორ)
ჰრადეცკა (ჩეხ)
გლუშკო (ისრ)
საფაროვა (ჩეხ, 26)
მაკაროვა (რუს, 22)
ვ. უილიამსი (აშშ)
მედინა გარიგესი (ესპ)
ფალკონი (აშშ)
პეერი (ისრ)
ნიკულესკუ (რუმ)
ლუჩიჩი (ხორ)
ლისიცკი (გერ, 15)
კერბერი (გერ, 9)
გაიდოშოვა (ავსტრა)
გარსია (საფ)
კუდრიავცევა (რუს)
პფიცენმაიერი (გერ)
ვიკმაიერი (ბელ)
რისკე (აშშ)
ვესნინა (რუს, 23)
პენეტა (იტა, 28)
კადანტუ (რუმ)
პუიგი (პ-რიკო)
ტატიშვილი (საქ)
ჟანგი (ჩინ)
ბარტელი (გერ)
კუმხუმი (ტაილ)
კვიტოვა (ჩეხ, 6)

**1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები**

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ს. უილიამსი (აშშ, 1)-ჰანტუხოვა (სლოვა, 31)
სტოსური (ავსტრა, 17)-ივანოვიჩი (სერ, 14)
ვინჩი (იტა, 12)-ფლიპკენსი (ბელ, 18)
ბუშარი (კან, 30)-ერანი (იტა, 7)
ნა ლი (ჩინ, 5)-საფაროვა (ჩეხ, 26)
მაკაროვა (რუს, 22)-ლისიცკი (გერ, 15)
კერბერი (გერ, 9)-ვესნინა (რუს, 22)
პენეტა (იტა, 28)-კვიტოვა (ჩეხ, 6)
იანკოვიჩი (სერ, 8)-რიბარიკოვა (სლოვა, 32)
კირსტეა (რუმ, 21)-ჰალეპი (რუმ, 11)
ს-ნავარო (ესპ, 16)-ციბულკოვა (სლოვაკ, 20)
კორნე (საფ, 25)-შარაპოვა (რუს, 3)
ა. რადვანსკა (პოლ, 5)-პავლიუჩენკ. (რუს, 29)
კანეპი (ესტ, 24)-ვოზნიაცკი (დან, 10)
სტივენსი (აშშ, 13)-კუზნეცოვა (რუს, 27)
ჰემპტონი (აშშ, 27)-აზარენკა (ბლრ, 2)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

იანკოვიჩი (სერ, 8)
დოი (იაპ)
კიჩენოკი (უკრ)
მორიტა (იაპ)
ნარა (იაპ)
პენგი (ჩინ)
პეტკოვიჩი (გერ)
რიბარიკოვა (სლოვა, 32)
კირსტეა (რუმ, 21)
ერაკოვიჩი (ზელ)
დიასი (ყაზ)
სინიაკოვა (ჩეხ)
ცურენკო (უკრ)
ლეპჩენკო (აშშ)
პიტერი (პოლ)
ჰალეპი (რუმ, 11)
სუარეს ნავარო (ესპ, 16)
კინგი (აშშ)
ვოსკობოევა (ყაზ)
ბეგუ (რუმ)
მლადენოვიჩი (საფ)
ფოგელი (შვეიც)
სკიავონე (იტა)
ციბულკოვა (სლოვა, 20)
კორნე (საფ, 25)
ჰერცოგი (სლოვენ)
გროტი (იტა)
სანდერსი (ავსტრა)
ორმაეჩეა (არგ)
კნაპი (იტა)
მატეკი (აშშ)
შარაპოვა (რუს, 3)
ა. რადვანსკა (პოლ, 5)
პუტინცევა (ყაზ)
გოვორცოვა (ბლრ)
დუანი (ჩინ)
ვიტჰოფტი (გერ)
მინელა (ლუქ)
პერეირა (ბრა)
პავლიუჩენკოვა (რუს, 29)
კანეპი (ესტ, 24)
მუგურუსა (ესპ)
ბაბოში (უნგ)
შმიედლოვა (სლოვაკ)
მაკჰეილი (აშშ)
ჩანი (ტაივ)
დომინგეს ლინო (ესპ)
ვოზნიაცკი (დან, 10)
სტივენსი (აშშ, 13)
შვედოვა (ყაზ)
მაიერიჩი (სლოვენ)
ტომლიანოვიჩი (ხორ)
როგოვსკა (ავსტრა)
დუკე-მარინო (კოლ)
სვიტოლინა (უკრ)
კუზნეცოვა (რუს, 19)
იოვანოვსკი (სერ, 33)
ჩეპელოვა (სლოვაკ)
სხეპერსი (ს. აფრ)
მოისბურგერი (ავსტრი)
ჰსიე (ტაივ)
ზახვალოვა (ჩეხ)
ლარსონი (შვედ)
აზარენკა (ბლრ, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრამპლინიდან ხტომა



# სოჭს ვერ ნახავს...

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ტომას მორგენშტერნი** მონაწილეობას ვერ მიიღებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში. ავსტრიელი მხტომელი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს ბად-მიტენდორფში, ვარჯიშის დროს ნახტომის შესრულებისას.

27 წლის სპორტსმენმა ჰაერში დაკარგა წონასწორობა და ყინულზე თავითა და ზურგით დაეცა. მან მაშინვე დაკარგა გონება, თუმცა მალე მოვიდა გონს და ლაპარაკიც შეძლო. მოგვიანებით გამოაცხადეს დაზიანების ხარისხი: მორგენშტერნმა თავის სერიოზული ტრავმა მიიღო, გარდა ამისა, ფილტვის კონტუზია დაუდგინდა. საერთო ჯამში, ავსტრიელს ძალიან გაუმართლა, რადგან ხერხემლის ტრავმა არ მიუღია. ექიმების თქმით, ტომასის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

*„მას კვლავაც სჭირდება ექიმების დაკვირვება, რადგან არსებობს მდგომარეობის გაუარესების რისკი. თავის მძიმე ტრავმის გამო, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ სისხლჩაქცევა გაჩნდეს“*, - ამბობს ქალაქ ზალცბურგის საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელი **ვოლფგანგ ველკელი**.

ავსტრიელი მხტომელისთვის ეს იყო მეორე წაქცევა ოლიმპიურ სეზონში. უფრო ადრე, მორგენშტერნი გერმანიაში მსოფლიოს თასის ეტაპის დროს დაეცა.

● ავტოსპორტი. დაკარი 2014


ერიკ პალანი

# უმსხვერპლო დაკარი არ არსებობს

ბოლო ორი დღის განმავლობაში ორი ტრაგედია მოხდა რალი-რეიდ დაკარზე.

თავდაპირველად არ გაუმართლა ორ არგენტინელ ჟურნალისტს. მათი ავტომობილი უფსკრულში გადაიჩეხა. კიდევ ორი მგზავრი დალუპვას გადაურჩა.

დალუპულები არიან: 20 წლის სტუდენტი ჟურნალისტი **აგუსტინ მინა** და მისი კომპანიონი, 51 წლის მოყვარული მრბოლელი **დანიელ ამბროზიო**.

ავარია პარასკევს მოხდა. ჟურნალისტები, რომლებიც რალის გაშუქებაზე მუშაობდნენ, ავტომობილით ქალაქ კატამარკადან ქალაქ სან-მიგელ-დე-ტუკუმანისკენ მიემართებოდნენ. გზის ერთ-ერთ მონაკვეთში მათი Ford Ranger-ი მოსახვევში ვერ შევიდა და უფსკრულში გადავარდა.

ფოტოგრაფები - 31 წლის **მარტინ დელგადო** და 36 წლის **როდრიგო დე კასედე** უკანა სავარძელზე ისხდნენ და სიკვდილს გადაურჩნენ. ისინი სან-მიგელ-დე-ტუკუმანის საავადმყოფოში მოათავსეს.

*„ავტომობილმა დაახლოებით 100 მეტრი იფრინა. ისინი, ვინც წინა სავარძლებში ისხდნენ, მაშინვე დაილუპნენ“*, - იტყობინება **ფრანსისკო დელგადო**, ჟურნალ „სუპერ რალის“ მენეჯერი და გადარჩენილი ფოტოგრაფის მარტინ დელგადოს მამა.

■ ■ ■

ასევე გამოცხადდა რალი-რეიდის ერთ-ერთი მონაწილის, ბელგიელი მოტომრბოლის **ერიკ პალანის** დალუპვის შესახებ. ის მეექვსე ეტაპის მეხუთე სპეცმონაკვეთზე იპოვეს გარდაცვლილი. სიკვდილის მიზეზს პოლიცია იძიებს.

ორგანიზატორთა თქმით, მათ განგაშის არანაირი სიგნალი არ მიუღიათ. ხუთი შვილის მამა ერიკ პალანი მეთერთმეტედ მონაწილეობდა „დაკარში“.

ბელგიელი გახდა ისტორიაში 27-ე მრბოლელი, რომელიც ლეგენდარული რალი-რეიდის დროს დაილუპა. სამხრეთ ამერიკაში „დაკარი“ მეექვსედ იმართება და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რალის ტრაგიკული შემთხვევის გარეშე ჩაევლოს.

● ფორმულა 1

# ნომრები დარიგებულია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა ოფიციალური სია. ეს ჩამონათვალი ყველაზე მეტად იმით არის საინტერესო, რომ იქ მოყვანილია სპორტსმენების მიერ არჩეული ნომრები.

როგორც იცით, ეს არის გუნდებისა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ერთობლივი ინიციატივა, რომელმაც უნდა აამაღლოს მსოფლიოს ჩემპიონატის მარკეტინგული მომხიბვლელობა. ნომრის ერთხელ არჩევის შემდეგ, პილოტი ამ რიცხვით კარიერის ბოლომდე იასპარეზებს.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა და ტიტულის მოქმედმა მფლობელმა **სებასტიან ფეტელმა** ნომერი „ხუთი“ აირჩია, თუმცა გამოაცხადა, რომ 2014 წელს „პირველი“ ნომრით გამოვა, რომელიც ჩემპიონს ეკუთვნის.

ცრურწმენებს არ შეუშინდა ვენესუელელი **პასტორ მალდონადო** და „13“ აირჩია. **ჯენსონ ბატონი** „22“-ზე შეჩერდა. სწორედ ამ ნომრით გახდა ის მსოფლიოს ჩემპიონი 2009 წელს. **კევინ მაგნუსენმა** კი შეინარჩუნა „ოციანი“ - ეს ნომერი ეწერა დანიელის მანქანაზე, რომლითაც მან შარშან WSR-ის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

საინტერესოა, რომ პირველ ათეულში სამი რიცხვი დარჩა ვაკანტური - 2, 4 და 9. მხოლოდ სამმა პილოტმა აირჩია 30-ე მაღალი ნომერი: **ლუის ჰემილტონმა** (44), **ვალტერი ბოტასმა** (77) და **ადრიან სუტილმა** (99).

ჯერჯერობით უცნობია, რა ნომრით იასპარეზებს „მარუსიას“ პილოტი **მაქს ჩილტონი**, რადგან კონტრაქტი ბოლო მომენტამდე არ იყო დადასტურებული.

ასევე უცნობია „კატერჰემის პილოტთა ვინაობა. ეს არის ბოლო ორი დარჩენილი ვაკანსია პელოტონში 2014 წლისთვის.

დაბოლოს, „ლოტუსი“, რომელსაც ჯერ არ აქვს ოფიციალური ხელშეკრულება ძრავების მომწოდებელ არც ერთ კომპანიასთან, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ თანამშრომლობას „რენოსთან“ გააგრძელებს.

**2014 წლის ჩემპიონატის მონაწილეები**

1/5. სებასტიან ფეტელი (რედ ბული)
3. დანიელ რიკარდო (რედ ბული)
6. ნიკო როსბერგი (მერსედესი)
44. ლუის ჰემილტონი (მერსედესი)
7. კიმი რაიკონენი (ფერარი)
14. ფერნანდო ალონსო (ფერარი)
8. რომენ გროსჟანი (ლოტუსი)
13. პასტორ მალდონადო (ლოტუსი)
20. კევინ მაგნუსენი (მაკლარენი)
22. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი)
11. სერხიო პერესი (ფორს ინდია)
27. ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია)
19. ფელიპე მასა (უილიამსი)
77. ვალტერი ბოტასი (უილიამსი)
21. ესტებან გუტიერესი (ზაუბერი)
99. ადრიან სუტილი (ზაუბერი)
25. ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო)
26. დანიილ კვიატი (ტორო როსო)
17. ჟიულ ბიანკო (მარუსია)



# ორი კვირა კომაში

ზუსტად ორი კვირის წინ, 2013 წლის 29 დეკემბერს, **მიხაელ შუმახერმა** სიცოცხლისთვის საშიში ტრავმა მიიღო საფრანგეთის კურორტ მარიბელში თხილამურებით სრიალის დროს. რამდენიმე საათის შემდეგ, მიხაელი ქალაქ გრენობლის კლინიკაში მოათავსეს, სადაც ექიმებმა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ხელოვნურ კომაში შეიყვანეს.

ექიმებმა თავის ტვინის რამდენიმე ოპერაცია ჩაატარეს და საერთო ჯამში, პოზიტიურ დინამიკას აღნიშნავენ, მაგრამ სიცოცხლის საფრთხე ჯერ ისევ არსებობს. ასე რომ, გულშემატკივრები მთელი მსოფლიოდან ახალი ამბების მოლოდინში არიან, კლინიკის წარმომადგენლებს კი უკვე დიდი ხანია არ გაუკეთებიათ კომენტარი ავტომრბოლის მდგომარეობაზე.

ჩვენ ვწერდით იმის შესახებ, რომ მიხაელის მეუღლემ პრესას ექიმების ზედმეტი ზეწოლისგან განთავისუფლება და საავადმყოფოს ტერიტორიის დატოვება სთხოვა, ასე რომ, ახლა ინფორმაცია მესამე პირისგან ვრცელდება. გერმანულ გაზეთ „ბილდს“ მოჰყავს პროფესორ **ჰაინც-პეტერ მიოკეს** აზრი. მას მიაჩნია, რომ კომაში ხანგრძლივ ყოფნას ნეგატიური გამოვლინება ექნება.

*„რაც უფრო მალე გამოიყვანენ კომიდან, მით უფრო სწრაფად შეიძლება ლაპარაკი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციების დაბრუნების შესახებ, მათ შორის, დამოუკიდებლად სუნთქვაზე. იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა სახიფათო დარჩება, ხელოვნური კომის პერიოდი შეიძლება რამდენიმე კვირა გაგრძელდეს, მაგრამ ამას ნეგატიური გამოვლინებები ექნება - კომისთვის საჭირო პრეპარატების გამოყენებამ შეიძლება თირკმლის დაზიანება გამოიწვიოს“*, - აცხადება პროფესორი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


მიხაელ შუმახერი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე

ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608